



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29/01/2016 №1; 16/03/2016 №5; 20/04/2016 №7; 07/06/2016 №8; 12/07/2016 №12; 04/08/2016 №14; 27/09/2016 №16; 16/12/2016 №19 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 144 625,8 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 124 941,7 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 158 149,1 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 139 027,0 ათასი ლარი.

2017 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 24 451,5 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება - 6 077,9 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება - 27 501,6 ათასი ლარი;
- ქალაქის გაფორმება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 6 986,6 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 10 975,9 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 1 500,9 ათასი ლარი;
- ქალაქის დაგეგმარება - 1 382,3 ათასი ლარი;
- სკოლამდელი განათლება - 13 510,3 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 159,0 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 9 266,5 ათასი ლარი;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 4 661,0 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 264,5 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 3 715,8 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 7 697,4 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (8 875,1



ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (11 992,6 ათასი ლარი), ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (8,3 ათასი ლარი).

ქ. ბათუმის 2016 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2016 წლის გეგმა	2016 წლის შესრულება	შესრულება-ის %
შემოსავლები	139,855.8	119,877.0	85.7%
გადასახადები	35,000.0	35,081.9	100.2%
გრანტები	72,139.7	51,564.0	71.5%
სხვა შემოსავლები	32,716.1	33,231.1	101.6%
ხარჯები	87,797.1	83,689.7	95.3%
შრომის ანაზღაურება	21,146.6	20,853.4	98.6%
საქონელი და მომსახურება	29,970.5	28,433.3	94.9%
პროცენტი	3,186.7	3,162.4	99.2%
სუბსიდიები	12,284.3	12,071.7	98.3%
გრანტები	1,410.0	1,404.4	99.6%
სოციალური უზრუნველყოფა	7,326.6	6,814.3	93.0%
სხვა ხარჯები	12,472.5	10,950.3	87.8%
საოპერაციო სალდო	52,058.7	36,187.3	69.5%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	52,351.3	41,365.7	79.0%
ზრდა	57,121.3	46,430.4	81.3%
კლება	4,770.0	5,064.7	106.2%
მთლიანი სალდო	-292.6	-5,178.4	1769.5%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-13,429.9	-13,992.0	104.2%
ზრდა	93.4	93.3	99.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	93.4	93.3	99.9%
კლება	13,523.3	14,085.4	104.2%
ვალუტა და დეპოზიტები	13,523.3	14,085.4	104.2%
ვალდებულებების ცვლილება	-13,137.3	-8,813.7	67.1%
კლება	13,137.3	8,813.7	67.1%
საშინაო	13,137.3	8,813.7	67.1%
ბალანსი	0.0	0.0	-



ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2016 წლის გეგმა	2016 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	144,625.8	124,941.7	86.4%
შემოსავლები	139,855.8	119,877.0	85.7%
არაფინანსური აქტივების კლება	4,770.0	5,064.7	106.2%
გადასახდელები	158,149.1	139,027.0	87.9%
ხარჯები	87,797.1	83,689.7	95.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	57,121.3	46,430.4	81.3%
ფინანსური აქტივების ზრდა	93.4	93.3	99.9%
ვალდებულებების კლება	13,137.3	8,813.7	67.1%
ნაშთის ცვლილება	-13,523.3	-14,085.4	-



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 124 941,7 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2016 წლის გეგმიური მაჩვენებლის 86,4%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 35 081,9 ათასი ლარი (შემოსულობების 28,1%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 51 564,0 ათასი ლარი (შემოსულობების 41,2%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 33 231,1 ათასი ლარი (შემოსულობების 26,6%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 5 064,7 ათასი ლარი (შემოსულობების 4,1%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

(ათასი ლარი)

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	119,877.0	95.9%
1.1	გადასახადები	35,081.9	28.1%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	51,564.0	41.2%
1.3	სხვა შემოსავლები	33,231.1	26.6%
2	არაფინანსური აქტივების კლება	5,064.7	4.1%
ჯამი		124,941.7	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები






შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	შემოსულობების დასახელება	2015 წლის გეგმა	2015 წლის შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	139,855.8	119,877.0	-19,978.8	85.7%
1.1	გადასახადები	35,000.0	35,081.9	81.9	100.2%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	72,139.7	51,564.0	-20,575.7	71.5%
1.3	სხვა შემოსავლები	32,716.1	33,231.1	515.0	101.6%
2	არაფინანსური აქტივების კლება	4,770.0	5,064.7	294.7	106.2%
	ჯამი	144,625.8	124,941.7	-19,684.1	86.4%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში






ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა

(ათასი ლარი)



№	დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	160 594,2	202 436,4	151 423,9	87 607,8	117 242,4	115 022,2	119 877,0
1,1	გადასახადები	10 547,3	11 918,1	12 619,0	11 628,1	13 937,5	18 819,4	35 081,9
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	137 290,6	176 229,6	116 363,9	54 416,5	76 387,1	63 170,7	51 564,0
1,3	სხვა შემოსავლები	12 756,3	14 288,7	22 441,0	21 563,2	26 917,8	33 032,1	33 231,1
2	არაფინანსური აქტივების კლება	9 043,9	6 682,4	13 680,9	553,4	362,6	1 626,2	5 064,7
	სულ ჯამი	169 638,1	209 118,8	165 104,8	88 161,2	117 605,0	116 648,5	124 941,7

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა





შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 139 855,8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 119 877,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 85,7%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 35 081,9 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 35 000,0 ათასი ლარის 100,2%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 28,1%-ს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

№	შემოსავლის სახე	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	შესრულება			
										2016 წ. გეგმასთან		2015 წ. ფაქტთან	
										გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%
1	საშემოსავლო გადასახადი							21,000.0	10,742.6	-10,257.4	51.2%	10,742.6	-
2	ქონების გადასახადი	10,507.6	11,911.0	12,616.3	11,625.4	13,936.5	18,820.2	14,000.0	24,339.2	10,339.2	173.9%	5,519.0	129.3%
2.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	262.4	544.7	673.8	792.8	861.8	1,117.8	520.0	1,199.1	679.1	230.6%	81.4	107.3%
2.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	8,639.1	10,080.9	10,934.3	9,519.7	11,376.5	16,322.4	12,430.0	21,448.6	9,018.6	172.6%	5,126.3	131.4%
2.3	მიწის გადასახადი	1,606.1	1,285.4	1,008.2	1,312.9	1,698.2	1,380.1	1,050.0	1,691.5	641.5	161.1%	311.4	122.6%
3	სხვა გადასახადები	39.7	7.1	2.7	2.7	1.0	-0.8				-	0.8	
სულ		10,547.3	11,918.1	12,619.0	11,628.1	13,937.5	18,819.4	35,000.0	35,081.9	81.9	100.2%	16,262.4	186.4%

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

საშემოსავლო გადასახადი - საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით მუნიციპალურ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან შემოდის:

- საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან;

- არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან);



- საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან;

- საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან;

- საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან;

საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

საშემოსავლო გადასახადის 2016 წლის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 21 000,0 ათას ლარს, საკასო - 10 742,6 ათას ლარს, შესრულდა 51,2%-ით. კერძოდ, გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან - 5 050,3 ათასი ლარი; გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან - 72,9 ათასი ლარი და გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან - 1 221,3 ათასი ლარი. დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი - 4 369,3 ათასი ლარი და ფიქსირებული გადასახადიდან დაბეგვრის ობიექტზე - 28,8 ათასი ლარი. მათ შორის 4 300,0 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 114⁵ მუხლის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 ოქტომბრის №2264 განკარგულების შესაბამისად. კერძოდ, საბიუჯეტო კოდექსში 2016 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით: 2016 წლის ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მიზნით, ამავე კოდექსის დანართის (შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით) მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავლების გარდა, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილის დამატებით მიმართვა მუნიციპალიტეტების 2016 წლის ბიუჯეტებში საშემოსავლო გადასახადის სახით.

ქონების გადასახადი – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2016 წლის გეგმიური მაჩვენებელი 14 000,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 24 339,2 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 173,9%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



(ათასი ლარი)

№	დასახელება	2016 წლის გეგმა	2016 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	14 000,0	24 339,2	10 339,2	173,9%
1,1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	12 430,0	21 448,6	9 018,6	172,6%
1,2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	520,0	1 199,1	679,1	230,6%
1,3	მიწაზე ქონების გადასახადი	1 050,0	1 691,5	641,5	161,1%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 12 430,0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 21 448,6 ათასი ლარი. რაც გეგმის 172,6%-ია.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 520,0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 199,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 230,6%-ია.

მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1 050,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1 691,5 ათასი ლარი) 161,1%-ია.


(ათასი ლარი)

№	დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	10 507,6	11 911,0	12 616,3	11 625,3	13 936,5	18 820,2	24 339,2
1,1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	8 639,1	10 080,9	10 934,3	9 519,7	11 376,5	16 322,4	21 448,6
1,2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	262,4	544,7	673,8	792,8	861,8	1 117,8	1 199,1
1,3	მიწაზე ქონების გადასახადი	1 606,1	1 285,4	1 008,2	1 312,9	1 698,2	1 380,1	1 691,5

ქონების გადასახადის 2016 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2015 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5 519,0 ათასი ლარით (29,3%-ით) გაზრდილია.




ქონების გადასახადის სტრუქტურა




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:

ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით






ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით (ნაზარდი ჯამით)



ქონების გადასახადის შესრულება წლების მიხედვით (2010-2016 წლები)



აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საგადასახადო რეფორმა, რომელიც გადასახადების ერთიანი სახაზინო კოდის შემოღებას ითვალისწინებდა. აღნიშნული რეფორმის შემდეგ არსებითად შეიცვალა თვითმართველობის საგადასახადო შემოსავლების ოდენობა და სტრუქტურა. თუკი 2016 წლამდე გადასახადების აღრიცხვა გადასახადის გადამხდელების მიერ კონკრეტულ სახაზინო კოდებზე განხორციელებული გადახდების მიხედვით ხორციელდებოდა, 2016 წლიდან აღრიცხვა გადასახადის გადამხდელების დეკლარირებული მონაცემებით ხდება. ქონების გადასახადის ნაწილში აღნიშნული ფაქტი დადებითად აისახა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე, ვინაიდან 2016 წლამდე მსხვილი კომპანიების უმრავლესობა ქონების გადასახადს არ იხდიდა იმ მოტივით, რომ მათ პირად ბარათზე გააჩნდათ ზედმეტობა სხვა საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადში (უპირატესად დღგ-ში).



ფინანსური დახმარება და გრანტები

2016 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 51 564,0 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 72 139,7 ათას ლარს, სხვაობა შეადგენს - 20 575,7 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 33 642,3 ათას ლარს, სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2016 წელს მიღებული იქნა 2 491,4 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 15 430,3 ათას ლარს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 41,2%-ია.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2016 წლის გეგმა	2016 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	72 139,7	51 564,0	-20 575,7
1,1	გათანაბრებითი ტრანსფერი	33 642,3	33 642,3	0,0
1,2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	16 006,0	15 430,3	-575,7
	კაპიტალური ტრანსფერი	16 000,0	15 424,3	-575,7
	სპეციალური ტრანსფერი	6,0	6,0	0,0
1,3	სპეციალური ტრანსფერი	22 491,4	2 491,4	-20 000,0
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	22 491,4	2 491,4	-20 000,0
	ჯამი	72 139,7	51 564,0	-20 575,7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2016 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 15 430,3 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 15 424,3 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 07 ივნისის #190 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური



ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, აჭარის სომხურ სათვისტომოსთან არსებული საფეხბურთო გუნდის - „ახპიური“ სპორტული სააგენტო SMB-ის მიერ ორგანიზებულ მინი ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატში, ბიზნესის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის საწევრო დავალიანების დაფარვის მიზნით - 4,0 ათასი ლარი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 4 აგვისტოს №232 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, მ. შარაშიძის I ჩიხი, №35-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული ბადრი ჩიბურძის (პ/ნ 61008016207) ოჯახის დახმარების გაწევის მიზნით - 2.0 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)

#	საფუძველი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	ჩამორიცხული თანხა	სხვაობა
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 2 თებერვლის №10 განკარგულება	ე.წ „ჭაობის დასახლებაში“ ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი	10 976,8	10 976,7	0,1
		დაბა ჩაქვი ქალაქ ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს ინფრასტრუქტურის შექმნა	790,9	754,7	36,2
		ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობა	202,8	202,8	0,0
		ქ. ბათუმში, დიდგორის ქუჩის მონაკვეთის წყალსადენის ქსელის მოწყობა	250,0	245,9	4,1
		ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე)	604,1	396,7	207,4
		ე.წ „ჭაობის დასახლებაში“ ქუჩების კეთილმოწყობის მეორე ეტაპი (ლერმონტოვის ქუჩა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან ორბელიანის ქუჩამდე))	230,7	230,7	
		აღმაშენებლის და ტბელ აბუსერიძის ქუჩების, აღმაშენებლის და გენერალ ა. აბაშიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის (ქუჩების) კეთილმოწყობა	1 239,8	1 200,2	39,6
		გოგებაშვილის (ბაქოს) ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია	881,2	735,4	145,8
		ურების დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა	110,0	74,2	35,8
		წერეთლის ქუჩა #30-ში მდებარე #12 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი	290,0	290,0	
		2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 07 ივნისის #190 ბრძანება	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია)	383,7
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია)	40,0			39,9	0,1
აჭარის სომხურ სათვისტომოსთან არსებული საფეხბურთო გუნდის - „ახპიური“ სპორტული სააგენტო SMB-ის მიერ ორგანიზებულ მინი ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატში, ბიზნესის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის საწევრო დავალიანების დაფარვის მიზნით	4,0			4,0	



3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 4 აგვისტოს №232 ბრძანება	ქალაქ ბათუმში, მ. შარაშიძის I ჩიხი, №35-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული ბადრი ჩიბურდის (პ/ნ 61008016207) ოჯახის დახმარების გაწევის მიზნით	2,0	2,0	
ჯამი			16 006,0	15 430,3	575,7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერის გეგმა 16 000,0 ათას ლარს შეადგენდა. საკასო შესრულება - 15 424,3 ათას ლარს, ანუ 575,7 ათასი ლარით ნაკლებს. გეგმასა და საკასო შესრულებას შორის სხვაობა განპირობებული იმ ფაქტით, რომ საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერი კონკრეტული კაპიტალური პროექტების შესრულების მიხედვით ირიცხებოდა. გამომდინარე იქედან, რომ კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილი სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გამო 2016 წელს სრულად არ დაფინანსდა, შესაბამისად არ იქნა მიღებული მუნიციპალურ ბიუჯეტში კაპიტალური ტრანსფერის თანხა.

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები

2016 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერის გეგმა 22 491,4 ათას ლარს შეადგენდა, საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა 2 491,4 ათასი ლარი, ანუ 20,0 მლნ. ლარით ნაკლები

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით 2 491,4 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (III ფაზა და IV ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.

რაც შეეხება, სპეციალური ტრანსფერის გეგმასა და საკასო შესრულებას შორის სხვაობას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო დამატებით 20,0 მლნ. ლარის ფინანსური დახმარების გამოყოფის საკითხის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართა 2015 წლის 13 ნოემბერს. აღნიშნული წერილის პასუხად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2015 წლის 13 ნოემბერს გვეცნობა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2015 წლის 13 ნოემბრის 04-02/119415 კორესპონდენციიდან გამომდინარე 2016 წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში შექმნილი დანაკლისის ანაზღაურება განხორციელდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შესაბამისად შესაძლებელი იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებელი გაზრდილიყო 20,0 მლნ. ლარით.



ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელში დამატებით გათვალისწინებული იქნა 20,0 მლნ. ლარი ფინანსური დახმარების სახით, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები: წყლისა და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია, ცალკეულ უბნებში არსებული გზებისა და ქუჩების კეთილმოწყობა, დასვენებისა და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

საკითხის შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას დამატებით მიმართა 2016 წლის 2 მარტს, რათა დაყენებულიყო შესაბამისი შუამდგომლობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე და დროულად გამოყოფილიყო ფინანსური დახმარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ასევე, ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსავლების დანაკლისის შევსებაზე წერილობით ეცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016 წლის 08 დეკემბერს, სადაც აღნიშნული იქნა, რომ წლის განმავლობაში მუნიციპალური ბიუჯეტიდან განსახორციელებელი პროექტების ნაწილის დაფინანსება გადადიოდა 2017 წელს (11,0 მლნ ლარი), თანხის ნაწილი (3,3 მლნ. ლარი) წარმოადგენდა ტენდერების და სამუშაოების დასრულების შედეგად დაფიქსირებულ ეკონომიას. შესაბამისად განახლებული პროგნოზებიდან გამომდინარე 2016 წელს შემოსავლების ნაწილში შევსებას ექვემდებარებოდა 5,7 მლნ. ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშზე ზემოაღნიშნული ფინანსური დანაკლისის შევსების მიზნით თანხა არ ჩარიცხულა. თუმცა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმდინარე ვალდებულებების და კაპიტალური პროექტების დაფინანსების შეფერხება არ მომხდარა. 2016 წელს ვერ მოხერხდა სრულად მხოლოდ საქართველოსთან ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების შესაბამისად გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა, რომელიც ანაზღაურებული იქნა 2017 წლის იანვრის თვეში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსავლების დანაკლისის შევსება არ განხორციელდა, გამომდინარე იქედან, რომ 2016 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა საერთო ჯამში გადაჭარბებით შესრულდა (მნიშვნელოვან წილად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების გამო), რის გამოც 2017 წელს გარდამავალი პროექტების დაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერიდან არის დაგეგმილი.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2016 წლის საპროგნოზო მოცულობა 32 716,1 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 33 231,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 101,6%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 26,6%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:



საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 1 431,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 450,0 ათასი ლარი) 98,7%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 699,3 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- რენტის სახით მიღებულია 731,8 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 154,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 577,2 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 25 445,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26 050,0 ათასი ლარი) 97,7%-ია. აქედან:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 25 444,4 ათასი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 435,8 ათასი ლარი.

- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი – 3,0 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 2,4 ათასი ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 21 835,4 ათასი ლარი, მათ შორის:

სათამაშო აპარატებიდან – 12 246,1 ათასი ლარი;

სამორინეს მაგიდიდან – 8 849,7 ათასი ლარი;

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 480,0 ათასი ლარი;


წამახალისებელი გათამაშებიდან – 171,4 ათასი ლარი;

კლუბის მაგიდიდან - 78,0 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 10,2 ათასი ლარი;



სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან ქ. ბათუმის ბიუჯეტში 2016 წელს მიღებული თანხები



- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 1 709,3 ათასი ლარის ოდენობით.

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 1 458,6 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 0,9 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 4 187,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 000,0 ათასი ლარის) 104,7%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 162,1 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 407,4 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 2 081,3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 53,4 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში - 822,1 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადამყვანის პირობების დარღვევის გამო - 3,0 ათასი ლარი;



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 90,4 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 126,3 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 26,0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 4,6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 289,8 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში - 19,6 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 3,8 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 8,2 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან - 90,0 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მიღებულია 2 166,8 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 1 216,1 ათას ლარს შეადგენდა. ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 178,2%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 323,2 ათასი ლარი;

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 570,4 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 679,5 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან - 407,7 ათასი ლარი;


ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან მიღებულ საფასურს - 38,0 ათასი ლარი;

მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 3,5 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 144,5 ათასი ლარი;



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათასი ლარი)

დასახელება	2016 წლის გეგმა	2016 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	32 716,1	33 231,1	515,0
შემოსავლები საკუთრებიდან	1 450,0	1 431,1	-18,9
პროცენტები	725,0	699,3	-25,7
რენტა	725,0	731,8	6,8
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	100,0	154,6	54,6
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	625,0	577,2	-47,8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	26 050,0	25 445,3	-604,7
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	26 050,0	25 444,4	-605,6
სანებართვო მოსაკრებელი	400,0	435,8	35,8
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	3,0	3,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	2,4	2,4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	22 300,0	21 835,4	-464,6
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2 000,0	1 709,3	-290,7
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	1 350,0	1 458,6	108,6
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,0	0,9	0,9
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან		0,9	0,9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4 000,0	4 187,9	187,9
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1 216,1	2 166,8	950,7




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	12 756,3	14 288,7	22 440,9	21 563,2	26 917,8	33 032,1	33 231,1
შემოსავლები საკუთრებიდან	1 790,3	2 797,9	7 896,3	3 824,3	3 243,4	3 347,7	1 431,1
პროცენტები	1 392,1	1 925,9	6 980,4	3 025,4	2 639,4	2 430,0	699,3
რენტა	398,2	872,0	915,9	798,9	604,1	917,7	731,8
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	164,6	291,1	283,1	268,8	102,2	284,9	154,6
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	233,6	580,9	632,8	530,2	501,9	632,8	577,2
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	7 309,5	8 635,0	9 995,8	11 702,6	16 340,6	22 932,9	25 445,3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	7 267,7	8 620,2	9 990,2	11 696,8	16 334,3	22 927,1	25 444,4
სანებართვო მოსაკრებელი	372,8	215,4	373,9	361,0	468,9	525,1	435,8
სახელმწიფო ბაჟი	2,0						
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,5	0,9	1,4	1,4	1,9	3,5	3,0
სატენდერო მოსაკრებელი	55,6						
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2,2	13,2	10,2	11,4	5,0	3,4	2,4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	5 914,4	7 338,5	7 976,6	9 544,7	13 644,9	20 167,5	21 835,4
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის					943,5	687,5	1 458,6
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	920,2	1 042,6	1 605,6	1 755,9	1 270,1	1 540,0	1 709,3
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	9,56	22,50	22,50			
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	41,8	14,8	5,6	5,8	6,3	5,8	0,9
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	41,8	14,8	5,6	5,8	6,3	5,8	0,9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2 297,4	2 370,6	3 188,1	4 906,3	4 871,8	4 901,6	4 187,9
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1 359,1	485,2	1 360,7	1 130,0	2 462,0	1 849,9	2 166,8



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა



სხვა შემოსავლების დინამიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში სტაბილურად მზარდია და 2016 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 198,9 ლარით აღემატება.

არაფინანსური აქტივების კლება

2016 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 5 064,7 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (4 770,0 ათასი ლარის) 106,2%-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 4,1%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 4 627,9 ათასი ლარი, ასევე შენობა ნაგებობების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს – 332,6 ათასი ლარი, ხოლო 104,2 ათასი ლარი მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალია.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 14 189,3 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა -13 523,3 ათასი ლარით (კლება). აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა -14 085,4 ათასი ლარი, შესაბამისად 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 103,9 ათას ლარს შეადგენდა.

დასახელება	2016 წლის გეგმა	2016 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2016		14 189,3
ნაშთის ცვლილება	-13 523,3	-14 085,4
კლება	13 523,3	14 085,4
ვალუტა და დეპოზიტები	13 523,3	14 085,4
ნაშთი 01.01.2017		103,9




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში






**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და
არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

(ათასი ლარი)

№	გადასახდელის დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	13 612,1	12 853,3	94,4%	9,9%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	9 683,1	8 972,9	92,7%	6,9%
1.2	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	3 904,8	3 880,3	99,4%	3,0%
1.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	24,2	0,0	0,0%	0,0%
2	თავდაცვა	25,0	8,3	33,3%	0,01%
3	ეკონომიკური საქმიანობა	35 718,2	31 938,9	89,4%	24,5%
3.1	ტრანსპორტი	32 684,0	30 438,0	93,1%	23,4%
3.2	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3 034,2	1 500,9	49,5%	1,2%
4	გარემოს დაცვა	10 134,1	9 704,6	95,8%	7,5%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	7 387,7	7 189,9	97,3%	5,5%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	2 746,4	2 514,7	91,6%	1,9%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	35 986,3	31 027,3	86,2%	23,8%
5.1	ბინათმშენებლობა	4 289,8	1 644,3	38,3%	1,3%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	12 301,9	10 757,9	87,4%	8,3%
5.3	წყალმომარაგება	14 113,4	13 726,3	97,3%	10,5%
5.4	გარე განათება	3 871,4	3 563,6	92,1%	2,7%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 409,8	1 335,1	94,7%	1,0%
6	ჯანმრთელობის დაცვა	3 306,5	3 054,8	92,4%	2,3%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	23 845,2	20 181,1	84,6%	15,5%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	17 394,1	14 010,4	80,5%	10,8%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	6 152,9	5 906,3	96,0%	4,5%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	298,2	264,5	88,7%	0,2%
8	განათლება	14 235,0	13 655,9	95,9%	10,5%
9	სოციალური დაცვა	8 056,1	7 695,7	95,5%	5,9%
გადასახდელების ჯამი		144 918,4	130 120,0	89,8%	100,0%



ქ. ბათუმის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2016 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 13 612,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 12 853,3 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 94,4%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 9,9%-ს.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 25,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8,3 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 33,3%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამძღვლების ტრასპორტირების ხარჯებს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 35 718,2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 31 938,9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 89,4%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 24,5%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაციის, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების, მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობის და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 10 134,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 9 704,6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 95,8%%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავების და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების



სარეაბილიტაციო პროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 7,5%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის ქალაქის ბინათმშენებლობის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ტექნიკური ზედამხედველობის, ქალაქის დაგეგმარების, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის, სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების და ქალაქის გაფორმების ქვეპროგრამების ხარჯები, შეადგენდა 35 986,3 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 31 027,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 86,2%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 23,8%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 3 306,5 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 3 054,8 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 92,4%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2,3%-ს.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 23 845,2 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 20 181,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 84,6%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 15,5%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტულ-ახალგაზრდულის ცენტრის განვითარების პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯები და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მხარდაჭერის პროგრამები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 14 235,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 13 655,9 ათას ლარს, ანუ გეგმის 95,9%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები, ასევე წარმატებულ სტუდენტთა მხარდაჭერის და ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის პროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10,5%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 8 056,1 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 7 695,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 95,5%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 5,9%-ს.



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

(ათასი ლარი)


№	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	87 797,1	83 689,7	95,3%	60,2%
1	შრომის ანაზღაურება	21 146,6	20 853,4	98,6%	15,0%
2	საქონელი და მომსახურება	29 970,5	28 433,3	94,9%	20,5%
2.1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1 661,1	1 596,6	96,1%	1,1%
2.2	მივლინებები	372,0	298,9	80,4%	0,2%
2.3	ოფისის ხარჯები	3 756,1	3 574,4	95,2%	2,6%
2.4	წარმომადგენლობითი ხარჯები	84,5	80,3	95,0%	0,1%
2.5	კვების ხარჯები	4 027,7	3 990,5	99,1%	2,9%
2.6	სამედიცინო ხარჯები	32,7	28,3	86,5%	0,0%
2.7	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	264,8	250,4	94,6%	0,2%
2.8	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	647,1	546,4	84,4%	0,4%
2.9	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	19 124,7	18 067,5	94,5%	13,0%
3	პროცენტი	3 186,7	3 162,4	99,2%	2,3%
4	სუბსიდიები	12 284,3	12 071,7	98,3%	8,7%
5	გრანტები	1 410,0	1 404,4	99,6%	1,0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	7 326,6	6 814,3	93,0%	4,9%
7	სხვა ხარჯები	12 472,5	10 950,3	87,8%	7,9%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	57 121,3	46 430,4	81,3%	33,4%
III	ფინანსური აქტივების ზრდა	93,4	93,3	99,9%	0,1%
IV	ვალდებულებების კლება	13 137,3	8 813,7	67,1%	6,3%
გადასახდელების ჯამი		158 149,1	139 027,0	87,9%	100%



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯები (საკასო შესრულება - 139 027,0 ათასი ლარი)



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯები (საკასო შესრულება - 139 027,0 ათასი ლარი)



ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 83 689,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 87 797,1 ლარის 95,3%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 60,2%.



შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 20 853,4 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 15,0%,

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 28 433,3 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 20,5%-ია, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 1 596,6 ათასი ლარი.

მივლინებები – 298,9 ათასი ლარი

ოფისის ხარჯები – 3 574,4 ათასი ლარი.

წარმომადგენლობით ხარჯები – 80,3 ათასი ლარი.

კვების ხარჯები - 3 990,5 ათასი ლარი.

სამედიცინო ხარჯები – 28,3 ათასი ლარი.

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებით ხარჯები – 250,4 ათასი ლარი

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 546,4 ათასი ლარი.

სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე ხარჯებმა შეადგინა 18 067,5 ათასი ლარი.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 3 162,4 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 2,3%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 12 071,7 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8,7%.

გრანტებზე მიიმართა 1 404,4 ათასი ლარი, ხვედრითი წილი - 1,0%.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6 814,3 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 4,9%

სხვა ხარჯებზე მიიმართა 10 950,3 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 7,9%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 46 430,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 57 121,3 ათასი ლარის 81,3%-ია, მთლიანი გადასახდელების – 33,4%.

ფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 93,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.9%-ია, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 0,1%.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 8 813,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 13 137,3 ათასი ლარის 67,1%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში – 6,3%.



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ კრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმსრულებელი ორგანოების დაფინანსება	25 078,3	20 867,7	4 210,6	83,2%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 852,8	1 606,3	246,5	86,7%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	7 691,6	7 268,8	422,8	94,5%
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	15 488,5	11 992,6	3 495,9	77,4%
01 04	სარეზერვო ფონდი	21,0		21,0	
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	24,3	0,1	24,3	0,2%
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	25,0	8,3	16,7	33,3%
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	25,0	8,3	16,7	33,3%
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	89 406,4	78 876,6	10 529,8	88,2%
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	26 959,3	24 451,5	2 507,8	90,7%
03 02	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება	6 406,3	6 077,9	328,4	94,9%
03 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	28 661,9	27 501,6	1 160,3	96,0%
03 04	ქალაქის გაფორმება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	7 751,9	6 986,6	765,3	90,1%
03 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	14 909,3	10 975,9	3 933,4	73,6%
03 06	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	3 034,3	1 500,9	1 533,4	49,5%
03 07	ქალაქის დაგეგმარება	1 683,4	1 382,3	301,1	82,1%
04 00	განათლება	14 332,3	13 669,3	663,0	95,4%
04 01	სკოლამდელი განათლება	14 171,3	13 510,3	661,0	95,3%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	161,0	159,0	2,0	98,7%
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	17 276,7	14 192,0	3 084,7	82,1%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	12 192,3	9 266,5	2 925,8	76,0%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4 786,2	4 661,0	125,2	97,4%
05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	298,2	264,5	33,7	88,7%
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	12 030,5	11 413,2	617,3	94,9%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	3 972,7	3 715,8	256,9	93,5%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	8 057,8	7 697,4	360,4	95,5%
გადასახდელების ჯამი		158 149,1	139 027,0	19 122,1	87,9%



**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება
(პროგრამული კოდი 01 00)**

სს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01)
ხარჯებმა შეადგინა 1 606,3 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 852,8 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 86,7%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1 086,1 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 360,9 ათასი ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 125,0 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე - 25,7 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 107,3 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 5,3 ათასი ლარი, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 91,5 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 6,2 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 1,5 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 68,4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 89,4 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 7 268,8 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 7 691,6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 94,5%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 5 092,8 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 1 632,0 ათასი ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 168,7 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე - 40,8 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 522,1 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 50,6 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 1,0 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 171,4 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 677,3 ათასი ლარი, გრანტებზე - 4,4 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 33,3 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 12,7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 458,0 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებაზე - 35,7 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

**მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება
(პროგრამული კოდი 01 03 01)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 213,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 213,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა 72,3 ათასი ლარის, სესხის ძირითადი თანხის დაფარვა - 140,5 ათასი ლარის ოდენობით და პირგასამტეხლო 0,2 ათასი ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:



სასესხო ვალდებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 15 275,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 11 779,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 77,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა სესხის მომსახურების საპროცენტო ხარჯების დაფარვა - 3 090,1 ათასი ლარის, სესხის ადმინისტრირების გადასახადის - 717,8 ათასი ლარის და სესხის ძირი თანხის დაფარვა - 7 971,8 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს (თვითმმართველ ქალაქ ბათუმს) შორის გაფორმებული თანხის გადაცემის (სასესხო) ხელშეკრულებების ფარგლებში 2016 წლის დეკემბრის თვეში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი ქონდა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები - ჯამში 2,743,333.35 ევროს ეკვივალენტი ლარში.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის დეკემბრის თვეში ზემოაღნიშნული სესხის მომსახურებისა და დაფარვის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ შეადგინა 4,053,847.73 ლარი (1,454,654.06 ევროს ეკვივალენტი). 2016 წელს ვალდებულების სრულად დაფარვა ვერ მოხერხდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით დაგეგმილ შემოსავლებსა და საკასო შესრულებას შორის დანაკლისის გამო. შესაბამისად, დარჩენილი თანხა ანაზღაურდა 2017 წლის იანვრის თვეში.

➤ მიღწეული შედეგები:

სასესხო ვალდებულება დაფარულია ნაწილობრივ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

პრიორიტეტი: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 25,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 8,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 33,3%. პროგრამის დაფინანსება/შესრულება დამოკიდებულია წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე გადაყვანის (ტრანსპორტირების) მომსახურების რაოდენობაზე, ხოლო სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევა ხორციელდება „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“



საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიხედვით, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევა მოხდა 357 წვევამდელის.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა აღრიცხვა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება (357 წვევამდელი).

➤ **მიღწეული შედეგები:**

არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის ქ. ბათუმში წვევამდელთა და სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია.

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 036,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 918,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,2%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - შეკეთდა 34600 კვ.მ. ორმული და 4500 კვ.მ. რკინა-ბეტონის ფილები. სამუშაოების წარმოება განხორციელდა ბაგრატიონის, ბონი-გოროდოკის, კახაბერის, თამარის დასახლების, ჯავახიშვილის, აღმაშენებლის, აეროპორტის, რუსთაველის, ხიმშიაშვილის, ძველი ბათუმისა და სამრეწველოს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - განხორციელდა ქუჩების შეკეთება ქვიშა-ხრემოვანი ნარევით - 149825 კვ.მ., ქვიშა-ხრემოვანი ნარევის გარეშე - 104541 კვ.მ., ასევე ქუჩებში განხორციელდა გრუნტის ამოღება და ბუნებრივი ქვიშა-ხრემოვანი ნარევით შევსება 555 კუბ.მ.. სამუშაოების წარმოება განხორციელდა ბაგრატიონის, ბონი-გოროდოკის, კახაბერის, თამარის დასახლების, ჯავახიშვილის, აღმაშენებლის, აეროპორტის, რუსთაველის, ხიმშიაშვილის, გონიო-კვარიათის, მწვანე კონცხისა და სამრეწველოს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი - დამზადდა და დამონტაჟდა 200 ცალი ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ბანერი.

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები - განხორციელდა ქვაფენილის საფარიანი ქუჩების შეკეთება-ახალის მონტაჟი 10598,5 კვ.მ., ქვაფენილიანი ქუჩების ქვიშა-ხრემოვანი ნარევით გამაგრება 27586 კვ.მ., დაზიანებული ბორდიურების შეცვლა/შეკეთება 648,7 გრმ.მ., ტროტუარებზე დაზიანებული ფილების შეცვლა - შეკეთება 3357,5 კვ.მ., დაზიანებული ბოძკინტების შეკეთება 534 ცალი, დაზიანებული ბოძკინტების შეცვლა-



ახლის დამონტაჟება 200 ცალი, ასევე შეძენილ იქნა 17 კვ.-იანი 200 ც. და 22 კვ.-იანი 130 ც. დეკორატიული ბოძკინტი.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის ქუჩების, გზებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 24 922,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 22 532,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,4%;

➤ პროგრამის აღწერა:

ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე, მრავალწლიანი პროექტი) - გზის 1726 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 42519კვ.მ 7 სმ. სისქის მსხვილმარცვლოვანი და 42519 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 3247 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 250 მმ-იანი 434 გრძ.მ. კანალიზაციის მილები; მოეწყო 2398 გრძ.მ. ბორდიური; დამონტაჟდა 23 განათების ბოძი 46 ცალი სანათითურთ;

აღმაშენებლის და ტბელ აზუსერძის ქუჩების, აღმაშენებლის და გენ. ა. აბაშიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის (ქუჩების) კეთილმოწყობის სამუშაოები, სრულად - 4706 გრძ.მ.-ზე, დაიგო 16974 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; 665 გრძ.მ. -ზე ჩაიწყო დ-200-იანი საკომუნიკაციო პლასტმასის მილები; დამონტაჟდა 113 ცალი გარე განათების ბოძი 30 ვტ-იანი დიოდური სანათებით, მოეწყო 3456.2 გრძ.მ. ელ. სადენი;

მწვანე კონცხის დასახლებაში ბოტანიკურ ბაღთან მისასვლელი ქუჩების გაფართოება - 1905 გრძ.მ.-ზე დაიგო 13188 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; სავალი ნაწილის ორივე მხარეს გაფართოების მიზნით დაიგო 2619 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; ავტოსადგომზე დაიგო 812 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; საერთო სიგრძით მოეწყო 9 ერთეული 634 გრძ.მ. დამცავი კედელი; მოეწყო 581 გრძ.მ. ღია სანიაღვრე არხი; მოეწყო 2566 გრძ.მ. ბეტონის ანაკრები ბორდიური; დაბა ჩაქვის მხრიდან პლასტმასის და ლითონის მილებით მოეწყო 461 გრძ.მ. სანიაღვრე სისტემა; მოეწყო 8,5 გრძ.მ. ხიდბოგირი; მოეწყო 1336 კვ.მ. დეკორატიული ფილები; სანათითურთ მოეწყო 35 ერთეული გარე განათების ბოძი;

მწვანე კონცხის დასახლებაში ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა - მოეწყო 4 კიბე, მოეწყო 2 დეკორატიული მოაჯირი (ჭედური ელემენტებით), კიბეები და დეკორატიული მოაჯირები მოეწყო 5973.8 კვ.მ ბუნებრივი გრანიტის ფილებით, მოეწყო 1115 გრძ.მ. ბეტონის ანაკრები ბორდიური, დამონტაჟდა 18 ცალი დეკორატიული სკამი (ჭედური ელემენტებით) და 37 ცალი სანაგვე ურნა, მოეწყო 146 გრძ.მ. ღია სანიაღვრე არხი ცხაურით, მოეწყო 75 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე არხი, მოეწყო რკ.ბეტონის 3 ჭა, პირსის სავალ ნაწილზე მოეწყო 131,5 გრძ.მ ბეჭდური ბეტონის არმირებული 664 კვ.მ. საფარი ხის ფაქტურით;

ფრიდონ ხალვაშის II ჩიხის კეთილმოწყობა, აეროპორტის ადმინისტრაცია - დაიგო 397 გრძ.მ-ზე 2555 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი, მოეწყო 21 ცალი რკ.ბეტონის მონოლითური სანიაღვრე ჭა თუჯის ცხაურით, მოეწყო



გოფრირებული სანიაღვრე მილები საერთო სიგრძით 497 გრძ.მ., არსებულ ხიდბოგირზე მოეწყო 13,5 გრძ.მ. ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი;

მარეთის ქუჩის კეთილმოწყობა, აღმაშენებლის ადმინისტრაცია - დაიგო 250 გრძ.მ.-ზე 1757 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი;

კონცელიძის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია და კონცელიძის ქუჩის #19-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა - დამონტაჟდა გარე განათების 16 ცალი ბოძი სანათითურთ; 450 გრძ.მ.-ზე დაიგო 2220 კვ.მ. 5სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი, მოეწყო 112 გრძ.მ. დამცავი კედელი (ჯებირის);

იმერხევის ქუჩის კეთილმოწყობა - 222 გრძ.მ.-ზე დაიგო 2260 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი, მოეწყო 8 ცალი გარე განათების ბოძი დიოდური 30 ვტ.-იანი სანათებით.

ოშკის ქუჩის კეთილმოწყობა - დაიგო 215 გრძ.მ.-ზე 1100 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი, მოეწყო 8 ცალი გარე განათების ბოძი დიოდური 30 ვტ.-იანი სანათებით, მოეწყო 215 გრძ.მ. სანიაღვრე არხი, დამონტაჟდა 2 ცალი რკ.ბეტონის მონოლითური სანიაღვრე ჭა ოთხკუთხედი თუჯის ცხაურით.

შატბერდის ქუჩის კეთილმოწყობა - დაიგო 301 გრძ.მ.-ზე 1730 კვ.მ. 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის საფარი, მოეწყო 11 ცალი გარე განათების ბოძი დიოდური 30 ვტ.-იანი სანათებით.

გზის პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება (კუბ.მ) - 10235 გრძ.მ.-ზე დაიგო 3725 კუბ.მ. ბეტონის საფარი.

ქ. ბათუმი თამარ მეფის გამზ №10-დან №42-მდე ბორდიურების მოწყობის სამუშაოები - დაიგო 654 გრძ.მ. 200X150 ბაზალტის ბორდიური, დაიგო 164 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 1488 კვ.მ.-ზე მოეწყო ორშრიანი დეკორატიული ფერადი ფილა.

კომახიძის I შესახვევის კეთილმოწყობის სამუშაოები - გზის სავალ ნაწილში დაიგო 456,28 კვ.მ. გრანიტის ქვაფენილი, ტროტუარზე მოეწყო 138 გრძ.მ. გრანიტის ბორდიური და 191 კვ.მ. გრანიტის ფილა, მოეწყო 88,5 გრძ.მ. ბეტონის ღია სანიაღვრე არხი, მოეწყო დეკორატიული 3 ერთეული ბოძები სანათებითურთ.

მამია ვარშანიძის ქუჩის #29-ში მდებარე #28 საჯარო სკოლის შესასვლელ ხიდზე და ნიკო მუსხელიშვილის #105-სა და #64-ს შორის არსებულ საავტომობილო ხიდებზე მოაჯირების მოწყობის სამუშაოები - მოეწყო 34 გრძ.მ. მოაჯირი.

გოგებაშვილის (ბაქოს) ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია - დამონტაჟდა 62 ცალი ოთკუთხედი სანიაღვრე ჭის ცხაურა, დაიგო 386 გრძ.მ. სავალ ნაწილზე 13023 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, მოეწყო 1532 გრძ.მ. ბორდიური, დაიგო 1536 კვ.მ. დეკორატიული ორ შრიანი ფილა, დაიგო 624 კვ.მ. კორდი, გადასასვლელებზე მოეწყო პანდუსები.

იოანე მესხის ქუჩის მონაკვეთის (#60-#66) კეთილმოწყობა - 70 გრძ.მ. მანძილზე დაიგო 380 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

მარეთის I ჩიხის კეთილმოწყობა(გრძ.მ.) - 84 გრძ.მ. მანძილზე დაიგო 405 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

დ. თავდადებულის ქუჩის მონაკვეთზე (#6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წინ) ტროტუარის მოწყობა - 24,6 გრძ.მ. მანძილზე (უსინათლოთათვის) დაიგო 7 კვ.მ. ტაქტილური ფილა, დაიგო 3,4 კვ.მ. გრანიტის ქვაფენილი, დაიგო 62 კვ.მ. გრანიტის ბუნებრივი ფილა, 24,6 გრძ.მ.-ზე მოეწყო 25,25 კვ.მ. ველობილიკი.

მ. ვარშანიძის ქ. N43-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა(გრძ.მ.) - 82 გრძ.მ.-ზე მოეწყო 199.48 კუბ.მ. რკ.ბეტონის კედელი.



ქ. ბათუმი ხახულის ქუჩის 2 შესახვევი სახლი #10-ის მიმდებარედ საყრდენი კედლისა და ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები - მოეწყო 9 გრძ.მ. სიგრძის საყრდენი კედლი და 4 გრძ.მ. სიგრძის ხიდბოგირი.

მუხრან მაჭავარიანის #102-თან ხიდის მოწყობა - მოეწყო 13,7 გრძ.მ. სიგრძისა და 1 გრძ.მ. სიგრძის ხიდი.

ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია - ჩატარდა სადემონტაჟო სამუშაოები, გატანილ იქნა 2036 კუბ.მ. უვარგისი გრუნტი, ჩამოსხა 151,6 კუბ.მ. საყრდენი კედელი, ჩამოსხა 45,35 კუბ.მ. საყრდენი რკ. ბეტონის ბურჯები.

ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი (მრავალწლიანი პროექტი): ა) ვაჟა ფშაველას ქუჩის კეთილმოწყობა (ჭავჭავაძის ქუჩიდან გიორგი ბრწყინვალის ქუჩამდე) - 340 გრძ.მ.-ზე დაიგო 4150 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 979 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 33 ცალი ცხაურიანი და 8 ცალი საკომუნიკაციო ჭა; მოეწყო 835 გრძ.მ. სანიაღვრე არხი; დაიგო 36 კვ.მ. კორდი. ბ) მასის ქუჩის კეთილმოწყობა, (ჭავჭავაძის ქ-დან გ. ბრწყინვალეს ქ-მდე) - 339 გრძ.მ.-ზე დაიგო 4520 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 1019 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 42 ცალი ცხაურიანი და 18 ცალი საკომუნიკაციო ჭა; მოეწყო 953 გრძ.მ. სანიაღვრე არხი; მოეწყო 2748 კვ.მ. დეკორატიული ფილები და 650 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; დაიგო 50,6 კვ.მ. კორდი. გ) დემეტრე თავდადებულის ქუჩის კეთილმოწყობა, (ჭავჭავაძის ქ-დან გ. ბრწყინვალეს ქ-მდე) - გზის 344 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 4280 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 935 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 3246 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 660 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; მოეწყო 831 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე არხი; მოეწყო 33 ცალი ცხაურიანი და 9 ცალი საკომუნიკაციო ჭა. დ) გრიბოედოვის ქუჩის კეთილმოწყობა (ჭავჭავაძის ქ-დან გ. ბრწყინვალეს ქ-მდე) - გზის 530 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 5627 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 1057,5 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 3856 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 750 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; ე) ჰაიდარ აბაშიძის ქუჩის კეთილმოწყობა (კუმკინის ქ-დან გ. ბრწყინვალეს ქ-მდე) - გზის 127 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 1640 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 276,42 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 598,7 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 180 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; მოეწყო 6 ცალი საკომუნიკაციო ჭა. ვ) ლერმონტოვის ქუჩის კეთილმოწყობა (ჭავჭავაძის ქ-დან გ. ბრწყინვალეს ქ-მდე) - გზის 375 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 4578 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 866 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 2987 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 720 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; მოეწყო 424 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე არხი; მოეწყო 36 ცალი ცხაურიანი და 14 ცალი საკომუნიკაციო ჭა; დაიგო 36 კვ.მ. კორდი. ზ) თაყაიშვილის ქუჩის კეთილმოწყობა (ჭავჭავაძის ქ-დან გ. ბრწყინვალეს ქ-მდე) - გზის 345 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 4139 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 812,1 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 2706 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 302 გრძ.მ. სანიაღვრე არხი; მოეწყო 26 ცალი ცხაურიანი და 12 ცალი საკომუნიკაციო ჭა; დაიგო 36 კვ.მ. კორდი. თ) წერეთლის ქუჩის კეთილმოწყობა - გზის 950 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 12226 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 2198 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 4985,5 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 210 გრძ.მ. სანიაღვრე არხი; მოეწყო 24 ცალი ცხაურიანი ჭა; დაიგო 36 კვ.მ. კორდი. ი) ხიმშიაშვილის ქუჩის კეთილმოწყობა (ჭავჭავაძის ქ-დან გ. ბრწყინვალეს ქ-მდე) - გზის 356 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 4290 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 913,51 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 2855,63 კვ.მ. ფილა; მოეწყო 80 გრძ.მ. წყლისა და კანალიზაციის პლასტმასის მილები; მოეწყო 295 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე არხი;



მოეწყო 20 ცალი ცხაურიანი და 12 ცალი საკომუნიკაციო ჭა. კ) ლუკა ასათიანის ქუჩის კეთილმოწყობა (ჭავჭავაძის ქუჩიდან გიორგი ბრწყინვალე ქუჩამდე) - გზის 334 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 4100 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 935 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 2843 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 650 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; მოეწყო 812 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე არხი; მოეწყო 30 ცალი ცხაურიანი და 4 ცალი საკომუნიკაციო ჭა; დაიგო 50,4 კვ.მ. კორდი. ლ) პუშკინის ქუჩის კეთილმოწყობა, (ჯავახიშვილის ქ-დან დემეტრე თავდადებულის ქუჩამდე) - გზის 1983 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 25723 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 4437 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 11257,7 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 90 გრძ.მ. წყლისა და კანალიზაციის პლასტმასის მილები; მოეწყო 1060,4 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე არხი; მოეწყო 79 ცალი ცხაურიანი და 26 ცალი საკომუნიკაციო ჭა; დაიგო 36 კვ.მ. კორდი. მ) 9 მარტის ქუჩა ქუჩის კეთილმოწყობა - გზის 217 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 1660 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 430 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 724 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 434 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; მოეწყო 103 გრძ.მ. სანიაღვრე არხი; მოეწყო 12 ცალი ცხაურიანი ჭა. ნ) ბერიძის ქუჩა - გზის 172 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 1080 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 330 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 614 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 250 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; მოეწყო 461 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე არხი; მოეწყო 29 ცალი ცხაურიანი და 8 ცალი საკომუნიკაციო ჭა; ო) კალიევის ქუჩა - გზის 323 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 2428 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 318 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 475 კვ.მ. დეკორატიული ფილა; მოეწყო 220 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; მოეწყო 162 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე არხი; მოეწყო 10 ცალი ცხაურიანი და 8 ცალი საკომუნიკაციო ჭა; დაიგო 21,6 კვ.მ. კორდი.

ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი - პუშკინისა და ტბელ აბუსერიძის დამაკავშირებელი ახალი ქუჩის მოწყობა - გზის 170 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 2526 კვ.მ ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 320,8 გრძ.მ. ბორდიური; მოეწყო 1152,9 კვ.მ. დეკორატიული ფილა.

ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის მეორე ეტაპი - დემეტრე თავდადებულის ქუჩა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან მ. ვარშანიძის ქუჩამდე) - მოეწყო 10 ცალი ოთკუთხა ცხაურიანი სანიაღვრე ჭა, ჩაიდო 241,5 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 211 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 2311 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი. ლერმონტოვის ქუჩა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან ორბელიანის ქუჩამდე) - მოეწყო 35 ცალი ოთკუთხა ცხაურიანი სანიაღვრე ჭა, ჩაიდო 1199 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 263 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 3626 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები: თოდოგაურის დასახლება N46-ის მიმდებარედ კედლის მოწყობა - მოეწყო 22,5 გრძ.მ. სიგრძისა და 5 გრძ.მ. სიმაღლის 40,5 კუბ.მ. დამცავი კედელი; მაგნოლიას ქ. N6-ის მიმდებარედ კედლის აგება - მოეწყო 34,7 გრძ.მ. სიგრძისა და 4 გრძ.მ. სიმაღლის 43,68 კუბ.მ. დამცავი კედელი; ზედალელეს დასახლება N16-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი სამუშაოების განხორციელება - მოეწყო 30 გრძ.მ. სიგრძისა და 5 გრძ.მ. სიმაღლის 29,7 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; ნაჭყეხიას ქ. N72-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი სამუშაოების განხორციელება - მოეწყო 40 გრძ.მ. სიგრძისა და 3,3 გრძ.მ. სიმაღლის 39,6 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; იოანე ლაზის ქ. მე-2 შესახვევის მიმდებარედ ფერდსამაგრი სამუშაოები განხორციელება - მოეწყო 40 გრძ.მ. სიგრძისა და 3 გრძ.მ. სიმაღლის 29,93 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; ანა კალანდაძის ქ. N35-ის მიმდებარედ კედლის აგება - მოეწყო 42 გრძ.მ. სიგრძისა და 2,8 გრძ.მ. სიმაღლის 56,9 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი;



მუსხელიშვილის ქ. N83-ის მიმდებარედ კედლის აგება - მოეწყო 38 გრძ.მ. სიგრძისა და 9 გრძ.მ. სიმაღლის 69,3 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; მახვილაურის დასახლება #95-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 17 გრძ.მ. სიგრძისა და 4,1 გრძ.მ. სიმაღლის 4,2 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; ზედაელის დასახლება #59 ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 43 გრძ.მ. სიგრძისა და 3,6 გრძ.მ. სიმაღლის 43,32 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; თოდოგაურის დასახლება #99 ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 28 გრძ.მ. სიგრძისა და 7 გრძ.მ. სიმაღლის 58,8 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; ჯინჭარაძის #65-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 19,5 გრძ.მ. სიგრძისა და 6 გრძ.მ. სიმაღლის 36,86 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; იოანე ლაზის I შესახვევი #22-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 40 გრძ.მ. სიგრძისა და 4,3 გრძ.მ. სიმაღლის 58,49 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; პეტრე იბერის მე-2 ჩიხი #19-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - მოეწყო 40 გრძ.მ. სიგრძისა და 3,3 გრძ.მ. სიმაღლის 41,58 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; წმინდა ნინოს ქ. I ჩიხი N16-18-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის აგება - მოეწყო 70 გრძ.მ. სიგრძისა და 2 გრძ.მ. სიმაღლის 117,82 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; მირიან მეფის ქ. III ჩიხი N13-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის აგება - მოეწყო 47 გრძ.მ. სიგრძისა და 3,4 გრძ.მ. სიმაღლის 57,33 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; თოდოგაურის სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე ფერდსამაგრი კედლის აგება - მოეწყო 56 გრძ.მ. სიგრძისა და 2,8 გრძ.მ. სიმაღლის 45,6 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; მახვილაურის დასახლება N59-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი ნაგებობის მოწყობა - მოეწყო 40 გრძ.მ. სიგრძისა და 4,3 გრძ.მ. სიმაღლის 48 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; გონიო-კვარიათი, ავგიის ქუჩაზე ფერდსამაგრი ნაგებობის მოწყობა - მოეწყო 52 გრძ.მ. სიგრძისა და 6 გრძ.მ. სიმაღლის 83,16 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; იოანე ლაზის ქუჩის პირველი შესახვევის #30-ის მიმდებარე ტერიტორიის აღდგენითი სამუშაოები - მიმდინარეობს 21 გრძ.მ. სიგრძისა და 3,8 გრძ.მ. სიმაღლის რკ. ბეტონის დამცავი კედლის მოწყობა. იოანე ლაზის I და II შესახვევების კვეთაში დამცავი კედლის მოწყობა - მიმდინარეობს 160 გრძ.მ. სიგრძისა და 2,8 გრძ.მ. სიმაღლის 30 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედლის მოწყობა. იოანე ლაზის I შესახვევი #31-ში დამცავი კედლის მოწყობა - მიმდინარეობს 36,5 გრძ.მ. სიგრძისა და 4 გრძ.მ. სიმაღლის 28 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედლის მოწყობა. იოანე ლაზის I შესახვევი #3-ში დამცავი კედლის მოწყობა - მიმდინარეობს 57 გრძ.მ. სიგრძისა და 2,4 გრძ.მ. სიმაღლის 11,95 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედლის მოწყობა. იოანე ლაზის ქ.#11-ში დამცავი კედლის მოწყობა - მიმდინარეობს 33 გრძ.მ. სიგრძისა და 3,8 გრძ.მ. სიმაღლის რკ. ბეტონის დამცავი კედლის მოწყობა. მატათა მოციქულის ქუჩა II ჩიხი #4-ში დამცავი კედლის მოწყობა - მიმდინარეობს 24 გრძ.მ. სიგრძისა და 3 გრძ.მ. სიმაღლის 21,1 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედლის მოწყობა.

გზებისა და ქუჩების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების,



ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შექმნილია ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა, ჩატარებულია არსებული ქუჩებისა და გზების კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა (პროგრამული კოდი 03 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 181,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 995,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84,3%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია - დაიხაზა 156 ცალი ავტობუსის გაჩერება; შეიღება 3495,5 კვ/მ ბორდიური; შეიღება 19647,02 კვ/მ ველობილიკის საფარი; შეიღება 811 ცალი ბოძკინტი; შეიღება 486 ცალი დეკორატიული ღობე; 14516,03 კვ/მ-ზე გაივლო საგზაო უსაფრთხოების მონიშვნის ხაზები; გაივლო 411,28 კვ/მ. (409 ცალი) პარკირების ადგილების მონიშვნის ხაზები; განხორცილდა 15 ცალი შუქნიშნის მოვლა-შეკეთების სამუშაოები; დამონტაჟდა 1 ცალი საავტომობილო და ქვეითთა გადასასვლელი შუქნიშანი; დამონტაჟდა 235,88 მ სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერი; დამონტაჟდა 172 ცალი ახალი საგზაო ნიშანი ბოძით; დამონტაჟდა 76 ცალი ახალი საგზაო ნიშანი; შეკეთდა 101 ცალი საგზაო ნიშანი; დასაწყობდა 1 ცალი ტაქსის საგზაო ნიშანი ბოძით; დასაწყობდა 1 ცალი ტაქსის საგზაო ნიშანი ბოძის გარეშე; შეკეთდა 429 ცალი დეკორატიული ღობე; შუქნიშნის შექმნა მონტაჟის სამუშაოები-დასრულდა 2 ახალი შუქნიშნისა და 2-ის არსებულის რეკონსტრუქცია; დასრულებულია 8 შუქნიშნის პროექტირების სამუშაოები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საგზაო მოძრაობის ორგანიზებისთვის გატარებულია სამართლებრივ-ტექნიკურ ღონისძიებები და უზრუნველყოფილია პარკირების ეფექტური სისტემა.

მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 5 225,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 082,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური ტრანსპორტის ტარიფის შენარჩუნების მიზნით, წლის განმავლობაში წარმოქმნილი შპს "ბათუმის



ავტოტრანსპორტის" საოპერაციო დეფიციტის დაფარვა - 5 082,0 ათასი ლარის მოცულობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ეფექტური მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

სანიაღვრე კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 03 03)

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 924,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 692,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია - შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები: სანიაღვრე ჭების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა შლამწოვის საშუალებით (თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად) - 26000 ცალი; დახურული სანიაღვრე არხების (ცენტრალური კოლექტორების გამოკლებით) გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა - 2500 გრძ.მ.; სანიაღვრე მილების გაწმენდა ჭურვის გატარებით, შლამის ამოღება და გატანა - 10000 გრძ.მ.; სანიაღვრე ჭების მიმდინარე შეკეთება - 400 ცალი; ზღვაში გასასვლელი არხების გაწმენდა - 1400 სთ; გადახურვის ფილის შეცვლა - 230 კვ.მ.; სანიაღვრე არხების სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება (ზაფხულის პერიოდში - 3 თვე) - 780 ლიტრი; ღია სანიაღვრე არხების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა - 84500 გრძ.მ.; ღია სანიაღვრე არხებზე არსებული ლითონის ცხაურის კაპიტალური შეკეთება - 125 გრძ.მ..

ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქცია (მრავალწლიანი პროექტი 2015-2016 წ), გრძ.მ - მოეწყო 4496,2 გრძ.მ. სანიაღვრე არხი; დამონტაჟდა 222 ჭა თუჯის ცხაურით; რკ/ბეტონის მილებზე მოეწყო 11 ც. სათვალთვალო ჭა; მოეწყო 65 ცალი გადახურვის რკ/ბეტ. ანაკრები ფილები თუჯის სახურავებით.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები - სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე: ა) პეტრე იბერის ჩიხი, სახლი N2-ის მიმდებარედ წყალამრიდი კედლის მოწყობა - მოეწყო სიგრძით 20 გრძ.მ. და სიმაღლით 1,4 გრძ.მ. 25,16 კუბ.მ. წყალამრიდი კედელი; ბ) ანა კალანდაძის ქ. N58-ში მდებარე სახლის მთელ პერიმეტრზე დიდი გამტარიანობის მილის მოწყობა - მოეწყო 7 გრძ.მ. სიგრძის, სიგანით 3,2 გრძ.მ. და სიმაღლით 2,55 გრძ.მ. 15,26 კუბ.მ. ხიდბოგირი; ჩამოსხა სიგრძით 5 გრძ.მ. და სიმაღლით 2,3 გრძ.მ. 3,5 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; გ) ავგის I ჩიხის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები - ჩამოსხა სიგრძით 7 გრძ.მ., სიმაღლით 0,9 გრძ.მ. 9,23 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი და 7 გრძ.მ. სიგრძის ხიდი; დ) მახვილაურის ქ. N39-ში ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება - მოეწყო სიგრძით 65 გრძ.მ. და სიმაღლით 4 გრძ.მ. 78 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; ე) ფაღვას ქ. N47-ში ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება - მოეწყო სიგრძით 55 გრძ.მ. და სიმაღლით 6,5 გრძ.მ. 107,3 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; ვ) თბილისის ქ. N60-ში ფერდსამაგრი კედლის აგება -



მოეწყო სიგრძით 33 გრძ.მ. და სიმაღლით 2 გრძ.მ. 46,1 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი კედელი; ზ) თამარ მეფის გამზირი N60-ში ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება - მოეწყო სიგრძით 16,5 გრძ.მ. და სიმაღლით 3,3 გრძ.მ. 17,12 კუბ.მ. რკ. ბეტონის დამცავი ორ მხრივი კედელი.

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებულ სამუშაოებზე, ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დასრულებულია ჟილინს სანიაღვრე სისტემის კაპიტალური რეაბილიტაცია, უზრუნველყოფილია სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4 058,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 693,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გამრიცხველიანება (ინდივიდუალური წყალმომხმარებლის დაყენება), აბონენტი - გამრიცხველიანდა 5372 აბონენტი.

ჩაქვის წყლის გადამცემი მაგისტრალის ქალაქის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები (ბნქ-ს დასახლებიდან ერისთავი-შავშეთის კვეთამდე) - რეაბილიტირებული იქნა 4160 გრძ.მ. წყლის გადამცემი მაგისტრალი.

დიდგორის ქუჩის მონაკვეთის წყლსადენის ქსელის მოწყობა - შესრულდა შემდეგი სამუშაოები: ჩამოსხა რკ.ბეტონის 80 კუბ.მ. მოცულობის წყლის რეზერვუარი, მაგისტრალური წყლსადენისთვის გაითხარა ტრანშეა და მოეწყო 550 გრძ.მ. პლასტმასის მილები, წყლსადენის ქსელითვის გაითხარა ტრანშეა და მოეწყო სხვადასხვა ზომის პლასტმასის მილები (დ-50მმ-1100 გრძ.მ., დ-32-300 გრძ.მ., დ-40-800 გრძ.მ.) საერთო სიგრძით 2200 გრძ.მ., 500 გრძ.მ.-ზე ჩაიდო ძალოვანი კაბელი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია აბონენტებთან გამრიცხველიანების ღონისძიებები და გაუმჯობესებულია სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის მდგრადობა.

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 36,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 36,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



განხორციელდა აღმაშენებლისა და გენერალ აბაშიძის, აღმაშენებლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებზე 2015 წელს წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დროულად შესრულებულია ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები.

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 03 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 7 408,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 7 210,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქის დასუფთავება - შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება დღეში ორჯერ - 13979900 კვ.მ, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება დღეში ერთჯერ - 12101400 კვ.მ., ტერიტორიის დამატებით მესამეჯერ დასუფთავება - 836360 კვ.მ., მწვანე საფარის დასუფთავება დღეში ერთხელ - 2661120 კვ.მ., ეზოების ფართის დასუფთავება თვეში 3-ჯერ - 7951900 კვ.მ., კონტეინერების გარეცხვა თვეში ერთხელ - 8799 ცალი, ტერიტორიის მორწყვა სეზონურად დღეში ორჯერ (სულ 70 დღე) - 10327200 კვ.მ., ქუჩებისა და მოედნების მორწყვა-მორეცხვა პერიოდულად, მერიის დაკვეთის შესაბამისად - 19 რეისი, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა - 6000000 კვ.მ., სანაპიროს ზოლის დასუფთავება თვეში 3-ჯერ (იანვარი-აპრილი, ნოემბერი-დეკემბერი) - 1633000 კვ.მ., მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა - 11 თვე.

ნარჩენების გატანა - განხორციელდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ანახვეტის გატანა - 70000 ტ.

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული -მომსახურება - უტილიზირებულია 70000 ტ. ნაგავი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.

გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 947,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 639,6 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 92,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაცია - მოვლა - ექსპლოატაცია გაეწია (იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით) - 16710 წერტს და 352 ცალ ელექტრო გამანაწილებელ კარადას; შეიღება 1717 ცალი ბოძი; ტრასპორტირდა და დაბეტონდა 30 ცალი ერთფრთიანი და 22 ცალი ორფრთიანი ბოძი;

ელექტროენერგიის გადასახადი - ელ. ენერგიის საფასურის გადახდა;



ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები - დამონტაჟდა 211 ცალი გარე განათების ბოძი, სანათით ალუმინის კორპუსით და დიოდური 30 ვტ. ნათურით. დემონტაჟი და მონტაჟი ჩატარდა 125 ცალ სანათს, სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე: ნანეიშვილის ქუჩა, იოანე ლაზის I შესახვევი, ფრიდონ ხალვაშის IV ჩიხი, იოანე ლაზის II ჩიხი, იოანე ლაზის ქუჩა, იოანე ლაზის II შესახვევი, ოშკის ქუჩა, პეტრე იბერის IV ჩიხი, პეტრე იბერის III ჩიხი, ანდრია პირველწოდებულის V ჩიხი, აეროპორტის გზატკეცილი (#219-დან #233-მდე), ზედალელის I შესახვევი (სასაფლაოებზე შეჭრა), მიქელაძის I ჩიხი, მუხრან მაჭავარიანი (#89 დან #95-მდე), ქ. ბათუმი თამარ მეფის IV შესახვევი 1 დან 18 მდე, ქ. ბათუმი კრასნოვის ქუჩა #16-დან #19-მდე, ტაოს ქუჩა, გორგილაძის ქუჩა (გარე განათების შეცვლა დიოდური სანათებით).

დეკორატიული განათების სამუშაოები - სკვერებში მოეწყო 133 ცალი დეკორატიული სანათი, მოეწყო სისქით 3 სმ 20,08 კვ.მ. და სისქით 5 სმ 12,55 კვ.მ. ბუნებრივი გრანიტის ფილა, დაიგო 447,20 კვ.მ. მწვანე საფარი (კორდი) და 8 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი. კერძოდ სამუშაოები ჩატარდა შემდეგ მისამართებზე: ფიროსმანის ქუჩაზე არსებული სკვერის დეკორატიული განათების სამუშაოები, ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში სკვერის დეკორატიული განათების სამუშაოები, მახინჯაურის ცენტრში პალმის ირგვლივ განათების მოწყობის სამუშაოები, მ. აბაშიძის ქუჩაზე იუნკერების სკვერში დეკორატიული განათების მოწყობა, ზუბალაშვილის ქუჩაზე კ. გამსახურდიას ქუჩიდან ზ. გამსახურდიას ქუჩამდე დეკორატიული განათების მოწყობა (ე.წ. პუშკინსკებით).

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ქალაქში გარე განათების გამართული მუშაობა და დამატებულია გარე განათების ახალი წერტები;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 10 117,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 10 095,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი დღგ-ს და სხვა გადასახადების თანადაფინანსება - განხორციელდა ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი დამატებული ღირებულების გადასახადის და სხვა გადასახადების თანადაფინანსება (ანაზღაურება);

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-3 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით გაფორმებული განსაკუთრებული შეთანხმებით, წყლის და კანალიზაციის სისტემების მდგრადი ექსპლოატაციისათვის შპს „ბათუმის წყალი-ს“ სუბსიდირება;

KfW ბანკთან შეთანხმების შესაბამისად პროექტის დამატებითი თანადაფინანსება

➤ **მიღწეული შედეგები:**

შესრულებულია ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-3 და მე-4 ფაზასთან დაკავშირებით გაფორმებული განსაკუთრებული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულები.



ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 03 03 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 169,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 133,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 78,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

➤ მიღწეული შედეგები:

მიმდინარეობს მუშაობა ადგილობრივი მოსაკრებლის აღრიცხვისა და ადმინისტრირებისთვის ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის შექმნაზე.

ქალაქის გაფორმება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 04)

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 04 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 817,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 752,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

ლერმონტოვის ქუჩაზე სკვერის მოწყობა - მოეწყო დახურული სანიაღვრე არხი, დამონტაჟდა 39 ცალი დახურული სანიაღვრეს ჭა, მოეწყო მწვანე საფარი 7000 კვ.მ., მოეწყო ბაზალტის ბორდიურები 9950 გრმ.მ., მოეწყო და მოპირკეთდა დეკორატიული კედლები 8414 კვ.მ., მოეწყო ავტოსადგომები და დაიგო ა/ბეტონის საფარი 1940 კვ.მ., დაიგო 1350 კვ.მ. დეკორატიული ფილა, მოეწყო მონოლითური 45 ცალი სკამები, დაიდგა 83 ცალი საპარკე სკამი, მოეწყო სკვერის ცენტრში 1 ცალი ლითონის ელემენტი, მოეწყო 3 ცალი სასმელი წყლის ორონკანიანი ფანტანი, მოეწყო ზომით 42მ.X25მ-ზე მინისტადიონი 1050 კვ.მ., მოეწყო 3 იარუსიანი 42 გრმ.მ. მაყურებელთა ტრიბუნა 150 კაცზე, მოეწყო 3 კომპლექტიანი საბავშვო ატრაქციონი, დამონტაჟდა სტადიონისათვის 6 ცალი გარე განათების ბოძი სანათებითურთ, მოეწყო კომბინირებული საპირფარეშო (შშმ პირთათვის), სკვერში დამონტაჟდა 45 გარე განათების ბოძი და 34 ცალი დეკორატიული განათების ბოძი, მოეწყო პანდუსები.

ზუბალაშვილის ქ. №39-ს მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა - სამუშაოები განხორციელდა ნაწილობრივ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, მოეწყო 140 კვ.მ. დეკორატიული ფილა და 98 გრმ.მ. ბორდიური; დამონტაჟდა 7 ც. ახალი ძელსკამი და 13 სანაგვე ურნა; დაიგო 363 კვ.მ. ბალახის კორდი და 130 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებულ სამუშაოებზე, ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან,



სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქალაქის ტერიტორიაზე დამატებით კეთილმოწყობილი სკვერი.

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 010,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 935,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება - შეძენილ იქნა და ევროპის მოედანზე დამონტაჟდა ახალი 22 მეტრი სიმაღლის ნაძვის ხე; საახალწლო აქსესუარებით და კონსტრუქციებით გაფორმდა 18 ქუჩა და 10 შენობის ფასადი; ძველ ნაძვის ხეს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და დამონტაჟდა შინდისის გმირების სახელობის სკვერში.

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - განხორციელდა არასტანდარტული ზომის დროშების (9,0მX6,0მ.) შეკერვა შემდგომი მონტაჟი-დემონტაჟით - 12 ცალი; გზაგამყოფ ზოლებში მარტულლებისათვის დამზადდა-დამონტაჟდა - 1757 ცალი ალამი; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლაგმტოკებისათვის (ახალი გემბანი, ჭადრაკის სახლი) ორმაგი ცვეთით (ატლასის ნაჭრის ზომა 1,5X1,0მ) შეიკერა, გამოიფინა და დემონტაჟი ჩაუტარდა 240 ცალ დროშას; არსებული წრიული სადგარებისათვის, არსებულ ტარებზე შეიკერა და დამონტაჟდა (შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართებზე) ატლასის ნაჭრით (ზომით 2მX1მ-ზე) 320 ცალი დროშა; დამზადდა და დამონტაჟდა 6 ცალი შრიფტული, მისასალმებელი და სააგიტაციო ბანერების პლაკატები; დამზადდა და დამონტაჟდა 4 ცალი მემორიალური დაფა (0,5X1,0მ.); ლაქებისა და წარწერებისაგან გაიწმინდა შენობა-ნაგებობების ფასადები და კედლები - 13610 კვ.მ.

ჟიული შარტავას ბიუსტის დამზადება-მონტაჟი - დაიდგა 4,5 მეტრის სიმაღლის რკ. ბეტონის სტელა, პოსტამენტი მოპირკეთდა ბაზალთის ფილებით, დამონტაჟდა სკულპტურული პორტრეტი, ირგვლივ დამონტაჟდა 4 დიოდური პროექტორის მინათება.

სავაჭრო ჯიხურების შეძენა - შეძენილ იქნა 25 ცალი სავაჭრო ჯიხური.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 147,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 080,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გაცელება, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის და მიწის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბელება, ხემცენარეების შეხვევა და გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების მოწვევა, ტერიტორიის ჰერბიციდებით დამუშავება, ხე-მცენარეების შეღებვა ჩაუმქრალი კირით, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა გამოხილვა, მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით).

- 5,286,623 კვ.მ გაიცემა მწვანე საფარი, შესაბამისად განხორციელდა მწვანე ბალახის შეგროვება და გატანა.

- დაირგო 3.306 ახლი ხემცენარე.

- ამოღებული იქნა შემოდგომა-ზამთრის ყვავილები და ნაცვლად დაირგო გაზაფხული ზაფხულის ყვავილი.

- ამოღებული იქნა გაზაფხული-ზაფხული ყვავილები და დარგო შემოდგომა-ზამთრის ყვავილები.

- განხორციელდა 19,948 ძირი ხემცენარეს დეკორატიული გასხვლა გაფორმება, 55 ძირი ხე-მცენარის გადაბელება, 101 ძირი დაზიანებული ხე-მცენარის ამოძირკვა, 8,610 ძირ ხე-მცენარეზე გადაზრდილი და გადამხმარი ტოტების შეჭრა, 4,080 ძირი პალმაზე ტოტების შეჭრა და შესაბამისად ნარჩენების გატანა.

- ჩაუტარდე სეზონური სამუშაოები სანერგეში არსებულ ხე-მცენარეების ნერგებს,

- გაიხსნა 664 ძირი ზამთრისათვის შეხვეული ხე-მცენარე.

- განხორციელდა არაერთხელ 15,817 კვ.მ ერთწლიანი ყვავილების გამოხილვა.

- საჭიროებისამებრ განხორციელდა 8,547 კვ/მ არსებული მწვანე ნარგავის მოწვევა.

- დამუშავდა 3,955 კვ.მ ნიადაგი კულტივატორით.

- 11,612 კვ.მ განხორციელდა ფილებს შორის ამოსული სარეველების ამოძირკვა.

- 32000 კვ.მ არსებული ხე-მცენარეების ირგვლივ განხორციელდა შემობარვა-გათოხნა-გამარგვლა.

- შეტანილი იქნა საჭიროებისამებრ 140 კუბ.მ მიწა და ორგანული სასუქი (ტორფი) 6,95 ტ.

- განხორციელდა მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით 27,859 კვ.მ

- შეძენილი იქნა ერთი სატვირთო ავტომანქანა და ერთი მკროავტობუსი, მოეწყო საპირფარეო.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა.

სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვა (პროგრამული კოდი 03 04 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 348,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 911,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 81,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



სარეკრეაციო (მ.შ. ტურისტული დანიშნულების) ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და განვითარების ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა 6 მაისის პარკში და პანორამულ ბორბალზე სახანძრო ბალონების შეცვლა, საათების შეკეთება, 6 მაისის პარკში ბოძების კოლონადების შეღებვა, 6 მაისის პარკში ბილიკების და ხე-მცენარეების განათება, 6 მაისის პარკში პარკისა და რუსთაველის ქუჩის გასწვრივ არსებული სკამების შეკეთება-განახლება, 6 მაისის პარკში ურნების შეძენა, ზოოპარკის მობინადრეების საკვებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ატრაქციონის სათადარიგო ნაწილები შეძენა, სკვერების, მოედნების და ძეგლების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ზოოკუთხეში ვოლიერების გადახურვა, ნურიგელის ტბაში ტურბო აირატორის შესყიდვა და დამონტაჟება;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება - განხორციელდა პარკისთვის ბალახის საკრეჭი სპეც. მანქანის შეძენა, ხელსაწყოები და სამუშაო იარაღების, უნიფორმების, ბრენდინგის, კონდეციონერის, საოფისე ავეჯის, კომპიუტერების და პრინტერების, მაღალი წნევის წყლის ჭავლის აპარატის შეძენა, მოძრავი ხარაჩოს, სატვირთო ავტომობილის, ფურგონი სატვირთო ავტომობილის და ფოტო აპარატის შეძენა;

ორგანიზება გაეწია ინკლუზიური ტურიზმის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციას

➤ **მიღწეული შედეგები:**

სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა ფუნქციონირებს გამართულად და შეუფერხებლად.

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 04 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 366,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 245,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებათა სამუშაოების ფარგლებში 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებები. ეგზოტურ მცენარეთა კოლექციის ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა მცენარეთა ინვენტარიზაციის სავსე სამუშაოები. ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებსა და საკოლექციო ნაკვეთებში მოხდა კოლექციაში არსებული ხნოვანი, დაავადებული და დაზიანებული ეგზოტების აღრიცხვა და მათი ჩანაცვლების მიზნით სანერგეებში და სათბურებში სარგავი მასალის გამოყვანა. სათბურებში დაითესა ექსპედიციების შედეგად შემოტანილი ველური ფლორის სახეობების თესლები, განხორციელდა მცენარეთა ეტიკეტირება, შეგროვდა ადგილობრივი ფლორის სხვადასხვა სახეობის თესლები, მიმდინარეობდა ჰერბარიუმის ფონდის განახლება. აღწერილი იქნა მავნე ორგანიზმებით დაზიანებული და დასენიანებული მცენარეები, შეძენილ იქნა აგროქიმიკატები და მცენარეთა დაცვის საშუალებები. კვალსათბურები გაიწმინდა, გადაიბარა, გაფხვიერდა და შეტანილი იქნა მინერალური სასუქი, დაიწყო თესვები, ჩატარდა ნიადაგდაცვითი სამუშაოები. ბაღის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა არსებული მანიშნებლების, საინფორმაციო დაფებისა და ბილბორდების მდგომარეობის მონიტორინგი, გამოიცა მცენარეთა თესლების კატალოგი. გაიმართა კამელიების, გირჩების, ბამბუკის, ხეხილის და კენკროვნების გამოფენები, სეზონურ



რეკლამირებასთან დაკავშირებით დაიბეჭდება სარეკლამო საინფორმაციო სახის ბილბორდები. წარმატებით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა - "უფრო ახლოს ბუნებასთან", სადაც მონაწილეობდა 80 მოსწავლე. ღონისძიების ფარგლებში ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღო საბალო ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაში "expo antalia 2016", რომელიც გაიმართა თურქეთის ქ. ანტალიაში, სადაც მოეწყო გარე ბაღი. ბოტანიკურმა ბაღმა მონაწილეობა მიიღო შვეიცარიაში გამართულ არქტიკული და ალპური ბოტანიკური ბაღების კონფერენციაში. 2016 წლიდან ბაღი გახდა კამელიების საერთაშორისო საზოგადოების (ICS) სრულფასოვანი წევრი. ასევე ბაღმა მონაწილეობა მიიღო ქ.ბათუმის და ქ.თბილისის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში. მოეწყო გოდერძის ალპური ბაღის დაფუძნების პრეზენტაცია. ბაღის ტერიტორიაზე განხორციელდა ეროზირებული გზისპირების გამაგრება, სიტემატიურად მიმდინარეობდა საპირფარეშოებისა და მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავებითი სამუშაოები. სისტემატიურად მიმდინარეობდა დაზიანებული მცენარეების გაწმენდა-დამუშავება და პლანტაციიდან ნარჩენი ბიომასის გამოტანა. უზრუნველყოფილი იყო ბაღის ვიზიტორთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ელექტროავტობუსებით. მოხდა ბამბუკის პლანტაციაში დაზიანებული ეგზემპლარების გამოჭრა და შიდა მოხმარებისათვის მარაგების შევსება. პროგრამის ფარგლებში ბაღი უზრუნველყოფილია მატერილურ-ტექნიკური საშუალებებით; სანტექნიკური, ელექტრო და სამშენებლო მასალებით, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელით. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ბაღის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 30 ერთეული დროებითი საცხოვრებლის გამოთავისუფლება. მომზადდა „მუდმივმოყვავილე სკვერის ძირითადი ნაწილის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის" საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, დასრულდა ახალი საგუშაგო პუნქტის მშენებლობა, შესასვლელში განთავსდა ლითონის ახალი ჭიშკარი. ასევე ზღვისპირა პარკში შეტანილი და გასწორებული იქნა 2000 კვ.მ მიწა. დამატებით შეძენილია 2 ელექტრომობილი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა საშუალებები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ბოტანიკური ბაღის მოვლა პატრონობის ღონისძიებები, შექმნილია დამატებითი სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა, განხორციელებულია საგანმანათლებლო და ბოტანიკური ბაღის პოპულარიზაციის ღონისძიებები.

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 61,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 61,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღდგენილ იქნა ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში მდებარე საზაფხულო თეატრის დაზიანებული 80 კვ.მ. სახურავი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დასრულებულია საზაფხულო თეატრის შენობის სარემონტო სამუშაოები.



ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 05)

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 05 01)

- პროგრამის განმახორციელებელი:
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 4 289,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 644,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 38,3%.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და უცხოური საწარმოს ფილიალ „კონვერტ ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 15 დეკემბერს დადებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №268 ხელშეკრულება (ელექტრონული ტენდერი SPA150027381; გამოცხადების თარიღი 09.10.2015; შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 4.430.000 ლარი), რომლის თანახმად უცხოური საწარმოს ფილიალმა „კონვერტ ჯორჯია“-მ აიღო ვალდებულება განეხორციელებინა საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში (2016 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი). ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 4.279.990 ლარით.

2016 წლის 10 ივნისის მდგომარეობით უცხოური საწარმოს ფილიალ „კონვერტ ჯორჯია“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 251.109,43 ლარი (სახელშეკრულებო ფასის 5,9 %). აღნიშნული სამუშაოების შესრულების შემდეგ, უცხოური საწარმოს ფილიალმა „კონვერტ ჯორჯია“-მ გაურკვეველი მიზეზებით შეწყვიტა სამშენებლო სამუშაოების წარმოება. მიუხედავად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურისა და ტექნიკური ზედამხედველის არაერთი წერილობითი და ზეპირი გაფრთხილებისა უცხოური საწარმოს ფილიალ „კონვერტ ჯორჯიას“ მიერ არ მოხდა ქმედითი ღონისძიებების გატარება სამუშაოების განახლების მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 19 ოქტომბრის N917 ბრძანებით შეწყდა უცხოური საწარმოს ფილიალ „კონვერტ ჯორჯია“-სთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 268 ხელშეკრულება და მიმწოდებელ კომპანიას ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 12.3 პუნქტის თანახმად დაეკისრა პირგასამტეხლო საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით - 213.999,50 ლარი.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საბანკო გარანტიის საფუძველზე გაცემულია ავანსის სახით ჯამში - 1.621.185,41 ლარი, საიდანაც შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან 251.109,43 ლარიდან გაქვითულია - 190.843,17 ლარი, ხოლო გასაქვითი ავანსის თანხა შეადგენს - 1.430.342,24 ლარს. ასევე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9-ე პუნქტის შესაბამისად დაკავებულია შესრულებული სამუშაოების ღირებულების 15% - 37.666,41 ლარი შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე.

მიმდინარე ეტაპისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს სამართლებრივ ღონისძიებებს მიმწოდებელი კომპანიის და გარანტორი ბანკის მიმართ ავანსის თანხის ნაშთის - 1.430.342,24 ლარის დაბრუნების და დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის - 213.999,50 ლარის გადახდევინებასთან დაკავშირებით. რაც



შეეხება სამომავლოდ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დასრულებას, საკითხი განხილული იქნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის კორექტირების დროს.

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი (პროგრამული კოდი 03 05 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 10 619,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 9 331,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, კერძოდ ქალაქში არსებულ 23 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავების შეკეთება-მოწყობა;

30 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლებში კომუნალური სისტემის შეცვლა;

12 მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსში განხორციელდა ამორტიზირებული და შესაკეთებელი ლიფტის შეკეთება-რეაბილიტაცია და დამონტაჟდა 10 ახალი ლიფტები;

326 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ფანჩატურის შეძენა - შეტანა;

1270 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის სკამების შეძენა-შეტანა;

65 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი;

74 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის შადრევანის შეძენა-მონტაჟი;

90 არსებული ატრაქციონების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში 40488 მ² ასფალტის დაგება;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში 7168 მ² ფილების დაგება;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში 1999 მ² ბეტონის საფარის დაგება;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში 1788,5 გრძ.მ ბორდიურების მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში 2100 მ² კორდის მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში 47 ერთეული დისტანციური პულტით მართვადი ბარიერის მოწყობა;

39 მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში 2400 ერთეული სენსორული განათების მოწყობა;

91 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარებისა და ელექტრო საკეტების მოწყობა;

ქალაქში არსებული ავარიული სახლების, შენობა-ნაგებობების აღდგენა- შეკეთება, გამაგრება-რეაბილიტაცია, სტიქიის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების აღდგენა-შეკეთება 242 ობიექტი;

საცხოვრებელი სახლებისთვის 278 ერთეული საინფორმაციო ფირნიშების შეძენა - მონტაჟი;

13 მრავალსართულიანი სახლების ეზოებში განათების მოწყობა.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.



მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 06 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 784,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 739,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება საფლავებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა-დასუფთავება, გამწვანება, ამორტიზირებული ხეების მოჭრა, საჭირო სამუშაო იარაღებისა და ინვენტარით უზრუნველყოფა, მუშა-მესაფლავეების სპეციალური უნიფორმითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა, ბალახის, ბუჩქებისა და ხეების მოვლა, სტრუქტურის წესრიგში მოყვანა, რეგულარულ დაგვა-დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება.

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა - აღნიშნული ღონისძიებით განხორციელა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა, ხდება მათი რეგისტრაცია, ნომრის მინიჭება.

შემოერთებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - დასრულდა მწვანე კონცხის, მახინჯაურის დასახლების, ურეხში ზედა და ქვედა ღელეს. მამია ვარშანიძის, ზედა და ქვედა ინჯალოს, მახვილაურის, თოდოგაურის, სტეფანოვკის სასაფლაოებზე შესასვლელი რკინის ჭიშკრების დადგმა, შეიღობა მავთულბადით, მოეწყო სასმელი წყლის წერტილები, გაკეთდა ბეტონის გზა, კაპიტალურად შეკეთდა არსებული ადმინისტრაციული შენობები.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული სასაფლაოების გამართული ფუნქციონირება.

მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 06 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2 249,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 761,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 33,9%. ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოებს და შპს „მამისონს“ შორის 2015 წლის 29 ივლისს გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №268 ხელშეკრულება (ელექტრონული ტენდერი SPA150015882; გამოცხადების თარიღი 04.06.2015; შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 3.693.000 ლარი), რომლის თანახმად შპს „მამისონმა“ აიღო ვალდებულება განეხორციელებინა დაბა ჩაქვში მდებარე 177 073 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქ. ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს მოწყობის სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) კალენდარული თვის განმავლობაში (2017 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდი). ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 3.399.000 ლარით.

გამომდინარე იქედან, რომ სამუშაოების სატენდერო-საპროექტო დოკუმენტაცია შეიცავდა არსებით უზუსტობებს და ხარჯთაღრიცხვაში სამუშაოების მოცულობები



მოითხოვდა დაზუსტებას, ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით რამოდენიმეჯერ შევიდა ცვლილება, რის გამოც მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ განახორციელა გეგმა-გრაფიკის მიხედვით სამუშაოების ჩატარება. ასევე, სამუშაოების გარკვეული შეფერხება ზამთრის კლიმატურმა პირობებმაც განაპირობა. საბოლოო მხარეთა-შეთანხმებით რომელიც 2017 წლის 24 იანვრით თარიღდება, სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდით.

საერთო ჯამში, დაგეგმილ გეგმა-გრაფიკთან შედარებით სამუშაოების 5 თვის ვადით გადადებამ გამოიწვია 2016 წლისათვის ასიგნებების შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქ ბათუმისათვის ჩაქვის ახალი სასაფლაოს ინფრასტრუქტურის შექმნა (მრავალწლიანი პროექტი), რომელიც მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: ა) ტერიტორიის გაწმენდა-პროფილირება; ბ) ადმინისტრაციული ოფისის მშენებლობა, შემოღობვა და ჭიშკრების დადგმა; გ) სანიაღვრე სისტემის, შიდა გზების, ავტოსადგომებისა და ტროტუარების მშენებლობა და მოწყობა; დ) ტერიტორიის მოწყობა მოსაცდელეებით, საყვავილეებითა და ჯიხურებით; ე) სასაფლაოს მოწყობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა. 2016 წელს შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: 2800.00 კვ.მ-ზე მოხდა ტერიტორიის გაწმენდა ეკალ-ბარდისაგან, ხეებისაგან, ამავე ფართობზე მოხდა მესამე კატეგორიის გრუნტის დამუშავება, შემოზიდულ იქნა 10 კმ მანძილიდან 33,41 ტონა მძიმე ბალასტი. მოეწყო საყრდენი კედელი.

➤ მიღწეული შედეგები:

შექმნილია ახალი სასაფლაო ინფრასტრუქტურა.

ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 07)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 07 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 521,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 382,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 73,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 55 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სანიაღვრე არხების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 45 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საბავშვო ბაღების შენობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 3 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 85 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.



სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 2 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სასპორტო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 42 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

კულტურული დანიშნულების ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია ერთი ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 1 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

შენობა-ნაგებობების და ადმინისტრაციული დანიშნულების ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 10 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაციისათვის განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 172 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ქალაქის გაფორმების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 1 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

განხორციელდა ე. წ. ბარცხანის ხიდის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

პროექტების ექსპერტიზა - არ განხორციელებულა საჭიროების არარსებობის გამო.

➤ მიღწეული შედეგები:

მომზადებულია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 07 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 153,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 992,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის ფარგლებში, ქალაქის ქუჩების გაგრძელება-გაფართოების მშენებელ ზოლში მდებარე ქონების საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფისათვის განხორციელდა საკომპენსაციო თანხების გაცემა - ლუბოვ კურობკინისთვის, ოლეგ უდალოვისთვის, პავლე უდალოვისთვის და ეკატერინე ნინიძესათვის. მინდობილობის ფარგლებში აღნიშნული მოქალაქეებისათვის გასაცემი თანხა სრულად ჩაერიცხა ეკატერინე ნინიძეს.

ჟილინის არხის რეკონსტრუქციის ფარგლებში, განხორციელდა სერგო დევამის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ექსპროპრიაცია. კერძოდ, ურების დასახლებაში მდებარე 60 კვმ მიწის და მასზე განთავსებული 35 კვმ შენობა -ნაგებობის.



(ფაქტიურად 62,40 კვმ). შენობა-ნაგებობის, ღობისა და ნარგავების განადგურებისათვის შპს "ანგისას" კომპენსაციის სახით გადაეცა 5 115 ლარი. ნარგავების დაზიანებისათვის, გენერალ აბაშიძის ქუჩაზე მცხოვრებ რუსუდან დიასამიძეს კომპენსაციის სახით გადაეცა 550 ლარი.

ბაგრატიონის ქუჩაზე საავტომობილო გზის მშენებლობის ფარგლებში, ბეჟან რუსიშვილის საკუთრებაში არსებული ღობის, ხეებისა და სხვა ქონების განადგურების გამო, ბეჟან რუსიშვილის შვილს კახაბერ რუსიშვილს კომპენსაციის სახით გადაეცა 1000 ლარი. ბაგრატიონის ქუჩის გაგრძელება-გაფართოების მშენებელ ზოლში მდებარე ქონების საკომპენსაციოდ ვალერიან ჩიხლაძეს ჩაერიცხა 1 820 ლარი.

მახინჯაურის დასახლებაში წყლის რეზერვუარების მშენებლობის ფარგლებში, სამშენებლო მოედანთან მისასვლელი დროებითი გზის მოწყობისათვის განხორციელდა ღია აფაქიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოყენება. ნარგავების განადგურების გამო მას კომპენსაციის სახით გადაეცა 2000 ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს "ბამბა ბათუმის" 2011 წლის 25 მარტს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შპს "ბამბა ბათუმს" აუნაზღაურდა შენობა-ნაგებობის ღირებულების 2/3, რაც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად შეადგენს - 311 686.28 ლარს.

ლერმონტოვის ქ. #102 -ში მდებარე ავარიული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას, 63 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით.

მწვანე კონცხის დასახლებაში ბოტანიკური ბაღთან მისასვლელი საავტომობილო გზის გასაფართოებელ არეალში მოხვედრილი 153 კვმ მიწის ფართობისა და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების განადგურების მიზნით ფ/პ რომან ცინცაძეს კომპენსაციის სახით გადაეცა 15 500 ლარი.

საკრებულოს 2016 წლის 01 დეკემბრის №69 განკარგულების შესრულების მიზნით 2016 წლის 26 დეკემბერს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, შპს რეალ მშენსა და მაიაკოვსკის ქუჩა №55 #24 მდებარე ავარიულ საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ 33 ბინის მესაკუთრის შორის გაფორმდა ცალმხრივი შეთანხმება, რომლის საფუძველზე 33 ოჯახისათვის განკუთვნილი საკომპენსაციო თანხა მათივე მოთხოვნით გადაირიცხა შპს "რეალ მშენის" ანგარიშზე, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული 33 ოჯახის ახალი საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილებას.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შესაბამისი პროცედურების დაცვით გაცემულია საკომპენსაციო თანხები.

ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა (პროგრამული კოდი 03 07 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 7,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 7,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა, რომელიც მოიცავდა 2015 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ, ქალაქის



დაგეგმარების ქვეპროგრამის (03 03 02) ფარგლებში, ქალაქის ქუჩების დაგეგმარებაზე წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვას.

პრიორიტეტი: განათლება

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 11 305,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 11 233,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,4%.

➤ პროგრამის აღწერა:

საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება - საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად მომსახურება გაეწია 7312 აღსაზრდელს.

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვება განხორციელდა "ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბრის 280/ნ ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით. სისტემატიურად ხორციელდებოდა კვების ბლოკის სანიტარული-ჰიგიენური მდგომარეობის და მოწოდებული პროდუქციის ხარისხისა და ვარგისიანობის შემოწმება.

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - ჩატარდა 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10, 15, 16, 20, 23, 24, 25, 27, 28, 31 საბავშვო ბაღების მიმდინარე ლოკალური სარემონტო სამუშაოები. საბავშვო ბაღებში შეტანილია ახალი სათამაშოები და ჭურჭელი.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (გადამზადება) - თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებულია ტრენინგები.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი ფუნქციონირება; დაცულია სანიტარული ნორმები.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2 866,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 276,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 79,4%.

➤ პროგრამის აღწერა:

ურების დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა - შესრულებულია შემდეგი სახის სამშენებლო სამუშაოები: მოეწყო პირველიდან მესამე სართულზე ასასვლელი 28,196 კუბ.მ. მონოლითური კიბეები; გადაიხურა 987 კვ.მ. შენობა პროფილირებული ფერადი თუნუქის ფურცელით; მოეწყო 665,6 კუბ.მ. ტიხრები, მოეწყო 92,9 კუბ.მ. ტიხრები და სავენტიაციო არხები; მოეწყო 321,6 კვ.მ. თეთრი მეტალოპლასტმასის ფანჯრის



ბლოკები; მოეწყო 115 კვ.მ. თეთრი მეტალოპლასტმასის ვიტრაჟები; მოეწყო 29,7 კვ.მ. თეთრი მეტალოპლასტმასის ფრამუგები; მოეწყო 75 კვ.მ. კიბის უჯრედსა და ვიტრაჟებთან ლითონის მოაჯირი; მოეწყო 2700 კვ.მ. ქვიშა-ცემენტის მჭიმი; მოპირკეთდა 300 კვ.მ. იატაკი; დაიგო 200 კვ.მ. ხელოვნური გრანიტი; მოეწყო 3 კუბ.მ. პანდუსი; პლასტიკატიტ მოეწყო 250 გრმ.მ. შეკიდული ჭერი; შეიღესა 152 გრმ.მ. შიდა კარისა და ფანჯრის ფერდობები; შეიღესა 5763 კვ.მ. შიგა კედლები ქვიშა ცემენტის ხსნარით; მოპირკეთდა 400 კვ.მ. სან.კვანძი, სამზარეულოს კედლები და ფერდობები კერამიკული ფილებით; შეიღესა 850 გრმ.მ. გარე ფანჯრისა და კარის ფერდობები; შეიღესა 1590 კვ.მ. ფასადის კედლები ქვიშა-ცემენტის ხსნარით; შეიღება 150 კვ.მ. ფასადი; მოეწყო ლითონის საევაკუაციო 2 ცალი კიბე მოაჯირით; დამონტაჟდა 1200 გრმ.მ სახანძრო სიგნალიზაციის კაბელი; შემოიღობა საბავშვო ბაღის ტერიტორია, ჩამოისხა სვეტები, აშენდა კედელი მთელს პერიმეტრზე და მოეწყო ლითონის მოაჯირები; მოეწყო 3 ცალი ლითონის ჭიშკარი; შებათქაშდა და შეიღება 1062 კვ.მ. კედელი; ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია, რომლის დასრულება დაგეგმილია 2017 წელს.

წერეთლის ქუჩა №30-ში მდებარე №12 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი - განხორციელდა 265 ადსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც მოხდება: სართულშუა გადახურვის მოწყობა, სახურავის მოწყობა პროფილირებული ფერადი ლითონის ფურცლებით, ტიხრებისა და კედლების მოწყობა, იატაკების მოწყობა პარკეტითა და კერამოგრანიტის ფილებით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებისა და კარების მოწყობა, შენობის შიდა და გარე წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა (სეპტიკის მოწყობა), ფასადზე ქაფპლასტის ფილების მოწყობა, საქვებისა და სათავსოს მშენებლობა, შენობის გათბობის მოწყობა, სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟი, ეზოს კეთილმოწყობა;

მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე N5 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო-დაშენების სამუშაოები - შესრულებულია შემდეგი სახის სამშენებლო სამუშაოები: დაშენდა მე-2- და მე-3-ე სართული, შეიცვალა საკანალიზაციო, ცივი და ცხელი წყალმომარაგების სისტემა, ელ. გაყვანილობა, დამონტაჟდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, მოპირკეთდა ოთახები, ჩაისვა კარ-ფანჯარა (32 ცალი მეტალოპლასტმასის ფანჯარა, 8 ცალი მდფ-ის კარი, 1 ხის კარი, 13 მეტალოპლასტმასის კარი, 4 რკინის კარი), შესასვლელში მოეწყო პანდუსი;

საბავშვო ბაღის შენობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებულ სამუშაოებზე, ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე.

➤ მიღწეული შედეგები:

რეაბილიტირებულია არსებული სააღმზრდელო ინფრასტრუქტურა და აშენებულია ახალი სააღმზრდელო დაწესებულება.

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (განათლებისა და კულტურის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 60,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 58,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში ღონისძიების ფარგლებში შეირჩა 25 სტაჟიორი. მათ შორის ერთი სტაჟიორი (საფრანგეთში) კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით. 24 სტაჟიორი (გერმანიაში) ტურიზმის მიმართულებით 3.

ადგილობრივ და საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა - ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში შეირჩა და დაფინანსდა 19 ბენეფიციარი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო ღონისძიებებში პოლონეთში, გერმანიასა და საფრანგეთში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ახალგაზრდებისათვის უზრუნველყოფილია უცხოეთში სტაჟირების შესაძლებლობა;

ახალგაზრდებისათვის უზრუნველყოფილია ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (განათლებისა და კულტურის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 101,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 100,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია გაიცა 50 სტუდენტზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბათუმელ სტუდენტებზე გაცემულია ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 472,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 469,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

29 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით ჩატარდა „მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში“; ღონისძიებაში მონაწილეობდა, 8 სხვადასხვა წონით კატეგორიაში 80 უცხოელი და 20 ადგილობრივი სპორტსმენი. მონაწილე სპორტსმენები წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინა, გერმანია, რუსეთი, უნგრეთი, სასომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, ისრაელი, საქართველო. ღონისძიებას მსაჯობას უწევდნენ ოლიმპიური და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები.

„საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ. ალთაბაევის თასზე“ მოზარდებს შორის გაიმართა 9 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით; მონაწილეობდა 42 მოწვეული და 14 ადგილობრივი სპორტსმენი, მათ შორის: თურქეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის და სასომხეთის, თბილისის და ბათუმის გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა.

„ტურნირი ჩოგბურთში მოზარდებს შორის მერიის თასზე“ - განხორციელდა პროგრამის შესაბამისად 13-17 მაისს. მონაწილეობდნენ უცხოეთის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გუნდები, 10 უცხოელი (აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის გუნდები) და 35 ქართველი მონაწილე ასპარეზობდა. პირველი ადგილი და მერიის თასი წილად ხვდა თბილისის გუნდს.

VI საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში - „ბათუმი-ცანა-ქოლგანი დელფინი“ - ღონისძიება განხორციელდა 6 მაისიდან 8 მაისის ჩათვლით. მონაწილეობდნენ: უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საბერძნეთის, საქართველოს წარმომადგენლები, 25 უცხოელი და 55 ადგილობრივი სპორტსმენი.

„საერთაშორისო ტურნირი ბილიარდში“ - ღონისძიება განხორციელდა პროგრამის შესაბამისად 1 - 5 ივნისის ჩათვლით. მონაწილეობდნენ რუსეთის, ბელორუსიის, მოლდოვის, უკრაინის, ლიტვის, სასომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს წარმომადგენლები, 24 უცხოელი და 5 ქართველი მონაწილე. პირველი ადგილი დაიკავა უკრაინის წარმომადგენელმა.

"საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში" - ღონისძიება განხორციელდა 29-30 ივნისს. ტურნირში მონაწილეობდნენ გერმანიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, სლოვაკეთის, რუსეთის, უკრაინის, პოლონეთის, თურქეთის, მონღოლეთის, ტაჯიკეთის, დანიის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ესტონეთის, ისრაელის, კვიპროსის, ლიტვის, საბერძნეთის, სომხეთის, უნგრეთის მსოფლიოს წამყვანი მოცეკვავეები, სულ 50-მდე ტიტულოვანი სპორტსმენი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.

„საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში“ - ღონისძიება განხორციელდა პროგრამის შესაბამისად 23- 26 ივნისს. ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს, სომხეთის, ბელარუსიის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, რუსეთის და უკრაინის, გუნდები, როგორც გოგონები ასევე ვაჟები, სულ 70 სპორტსმენი, ღონისძიებას მსაჯობას უწევდა ფიფას კატეგორიის სპეციალისტები.

„ქვიშის ფრენბურთში საერთაშორისო ტურნირი“ - ღონისძიება განხორციელდა 28-31 ივლისს, მონაწილეობდა 6 მოწვეული და 3 ადგილობრივი წყვილი. პირველ, მეორე



და მესამე ადგილზე გასულ წყვილებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები. ბათუმის წყვილი დაეუფლა პირველ ადგილს.

„მას რესლინგის საერთაშორისო ჩემპიონატი“ გაიმართა 23-24 ივლისს ქ. ბათუმში, მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი სპორტსმენები, სულ 75 უცხოელი სპორტსმენი. ჩემპიონატს მსაჯობა გაუწიეს მას რესლინგის საერთაშორისო ფედერაციამ და საქართველოს ძალისმიერი ფიტნესის ეროვნულმა ფედერაციამ. 17 გამარჯვებულ სპორტსმენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა ფულადი ჯილდო. გამარჯვებულთა შორის არის ქართველი ზვიად ქაჯაია.

„ქვიშის რაგბში საერთაშორისო ტურნირი“ - გაიმართა 6-7 აგვისტოს, მონაწილეობდა 80 მოწვეული და 20 ადგილობრივი სპორტსმენი, თურქეთის, რუსეთის, ინგლისის, საქართველოს, როგორც ვეტერანი სპორტსმენები, ასევე, მოყვარულები. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით და მედლებით.

„საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში პეტრე ბრეუსის თასზე“ - შეჯიბრება ჩატარდა 25-28 აგვისტოს, 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობდა 3 უცხოური და 4 ადგილობრივი გუნდი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და დიპლომებით, ასევე საუკეთესო ნომინაციებში გამოვლენილ სპორტსმენებს გადაეცათ სპეციალური პრიზები. პირველი ადგილი დაიკავა ბათუმის, მეორე ერევანის, მესამე რუსთავის გუნდმა.

გ. მენაბდის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში - ტურნირი მიემდგნა ცნობილი ქართველი ფეხბურთელის გენო მენაბდის ხსოვნას. მიმდინარეობდა 2 სექტემბრიდან 5 სექტემბრის ჩათვლით, მონაწილეობდნენ 2 უცხოური (ტრაბზონის და ბაქოს ვეტერანთა გუნდები) და 4 საქართველოს ვეტერანთა რეგიონალური გუნდი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით მედლებითა და სიგელებით გაიმარჯვა ოზურგეთის ვეტერანთა გუნდმა.

ქალთა საერთაშორისო ტურნირი „LADIES OPEN“; საერთაშორისო ტურნირი - ქ. ბათუმში იმართება 1997 წლიდან; მასში მონაწილეობდნენ 20 ქვეყნის 100-მდე ჩოგბურთელი, მათ შორის ქართველი ჩოგბურთელებიც. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენების საპრიზო თანხით დაჯილდოება. ღონისძიება მიმდინარეობდა 29 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით.

„აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (ELVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში“-ტურნირი გაიმართა 15 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით, მონაწილეობდა, ათი ქვეყნის საუკეთესო რეიტინგის მქონე 16 ქალთა და 16 მამაკაცთა გუნდი, სულ მონაწილეობდა 80 სპორტსმენი და მწვრთნელი. გამარჯვებული წყვილები დაჯილდოვდნენ თასებით.

საერთაშორისო ტურნირი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში - ქ ბათუმში 9-11 სექტემბერს გაიმართა საერთაშორისო ტურნირი საბრძოლო ხელოვნების სამ სახეობაში- კარატე, ჯიუ-ჯიცუ, გრეპლინგი. მონაწილეობდნენ 15 ქვეყნის საქართველო, აზერბაიჯანი, სასომხეთი, ირანი, რუსეთი, ბრაზილია, უკრაინა, პერუ, ინდოეთი, ესპანეთი, ამერიკა, თურქეთი, ბელარუსია, პოლონეთი, ტაჯიკეთი, სულ 200 წარმომადგენელი, სხვადასხვა კატეგორიებით. ღონისძიების ფარგლებში მსოფლიოს ცნობილი სპეციალისტებისა და სპორტსმენების მიერ ჩატარდა სემინარები. წარმატებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით და სიგელებით.

2016 წლის 15-19 სექტემბრის ჩათვლით განხორციელდა „რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში“, მონაწილეობდა ადგილობრივი და



6 უცხოური გუნდი, სულ 70-მდე მონაწილე. გუნდურ შეჯიბრებაში გოგონათა შორის მესამე ადგილი უკრაინას, მეორე საქართველოს, ხოლო პირველი ადგილი რუსეთის ნაკრებს ერგო.

2016 წლის 29 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა „საერთაშორისო საწვრთნელი სემინარ-ჩემპიონატი შოტოკან კარატე დოში“. ღონისძიების ფარგლებში ბათუმს სტუმრობდა მსოფლიო კარატე დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი იაპონელი-ჰიტოში კასუა. მონაწილეობდნენ ირანის, ერაყის, რუსეთის, თურქეთის და საქართველოს სპორტსმენები, მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები, თასები და მედლები.

ქვიშის ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის განხორციელდა 5-9 ოქტომბერს, ტურნირი ჩატარდა შერეული სისტემით, ჯგუფებში წრიული, ხოლო ფლეიოფში ოლიმპიური სისტემით. მონაწილეობდა სულ 6 გუნდი - 3 ადგილობრივი და 3 უცხოური, სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის გუნდები. ღონისძიებას მსაჯობდა ფიფას კვალიფიციური მსაჯი. ტურნირს ესწრებოდნენ ფიფას 2 წარმომადგენელი საპატიო ელჩის სტატუსით. პირველი ადგილი დაიკავა სომხეთის გუნდმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით.

„ტაეკვანდოში საერთაშორისო ტურნირის“ ორგანიზება განხორციელდა 21-23 ოქტომბერს. მონაწილეობდნენ ინგლისის, კანადის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ერაყის და საქართველოს (ბათუმი) წარმომადგენლები. პირველი ადგილი დაიკავა კანადის, მეორე - ბათუმის, ხოლო მესამე - თურქეთის წარმომადგენლებმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებით და თასებით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია საერთაშორისო სპორტული ტურნირები, ადგილობრივი და უცხოელი სპორტსმენების მონაწილეობით.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4 140,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4 100,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შედეგი სპორტული კლუბები:

შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო ბათუმი“ - 1 257,0 ათასი ლარი;

შპს სარაგბო კლუბი „ბათუმი“ - 1 626,9 ათასი ლარი;

შპს ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“ - 107,2 ათასი ლარი;

შპს ხელბურთის კლუბი „ბათუმი“ - 349,8 ათასი ლარი;

შპს წყალბურთის კლუბი „ბათუმი“ - 126,0 ათასი ლარი;

შპს კალათბურთის კლუბი „ბათუმი-2010“ - 633,2 ათასი ლარი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ადგილობრივი სპორტული კლუბების სუბსიდირება.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 40,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 37,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო ბათუმელი წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების მხარდაჭერა სხვადასხვა მაღალი დონის ჩემპიონატებში/ლონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ასევე, გათვალისწინებული იყო ფინანსური მხარდაჭერა სპორტსმენტა ეკიპირებისა და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით. დაფინანსდა: ორი მოჭადრაკე ნატა ჯიბუტი და ირაკლი ახვლედიანი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად; მშვილდოსანი ზვიად დუმბაძე აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, მონაწილეობდა როგორც შშმ პირთა პირველობაში, ასევე ჩვეულებრივი შესაძლებლობების პირთა შორის; შვიდი სპორტსმენი გაემგზავრა ირანში შოტოკან კარატე დოში გამართული საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, ოთხმა მათგანმა დაიკავა საპრიზო ადგილი.

გაიმართა წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან, ფულადი პრიზებით დაჯილდოვდა 10 ადამიანი სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია პერსპექტიულ და წარმატებულ ბათუმელ სპორტსმენტა ფინანსური მხარდაჭერა.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4 327,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 544,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 35,7%.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ენერგოსექტორმშენს“ შორის 2015 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №128 ხელშეკრულება (ელექტრონული ტენდერი SPA150023420; გამოცხადების თარიღი 25.08.2015; შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 4.899.998 ლარი), რომლის თანახმად, შპს „ენერგოსექტორმშენმა“ აიღო ვალდებულება, განეხორციელებინა ქ. ბათუმში, ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 420 (ოთხას ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში (2016 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი). ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 4.899.988 ლარით.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში მიმწოდებელ კომპანიას გააჩნდა შეფერხებები სამუშაოების დროულად შესრულების მხრივ. კერძოდ, კომპანიას გააჩნდა პრობლემები ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შეძენაზე, სამშენებლო მასალით სამშენებლო ობიექტის მომარაგებაზე, ჰქონდა ჩამორჩენა/დარღვევა გეგმა-გრაფიკში და სხვა.



მიუხედავად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურისა და ტექნიკური ზედამხედველის არაერთი წერილობითი და ზეპირი გაფრთხილებისა, შპს „ენერგოსექტორმშენის“ მიერ არ მოხდა ქმედითი ღონისძიებების გატარება დაფიქსირებული ხარვეზებისა და სამუშაოების ჩამორჩენის აღმოფხვრის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 8 ნოემბრის N976 ბრძანებით შეწყდა შპს „ენერგოსექტორმშენთან“ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №128 ხელშეკრულება და მიმწოდებელ კომპანიას ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 12.3 პუნქტის თანახმად დაეკისრა პირგასამტეხლო საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით 244.999,93 ლარი.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის და საავანსო საბანკო გარანტიების საფუძველზე გარანტორი ბანკის მიერ სრულად იქნა ანაზღაურებული შპს „ენერგოსექტორმშენზე“ გაცემული საავანსო თანხის ნაშთი - 662,151.22 ლარი და დაკისრებული პირგასამტეხლო - 244.999,93 ლარი.

მიმდინარე ეტაპისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი (NAT170001197, გამოცხადების თარიღი: 06.02.2017) ანგისის სპორტული ბაზის მშენებლობის სამუშაოების დასრულებაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 180 დღის ვადაში.

➤ პროგრამის აღწერა:

სპორტული მიწის სტადიონების კაპიტალური შეკეთება - დასრულდა 40 (ტაბიძის ქ. №1-3, №7, №9, №19-21, №19ა, №31-33-35; აღმაშენებლის ქ. #12/16; ბაგრატიონის ქ. №196; გუდიაშვილის ქ. №18-20; ლორიას ქ. №2-4; პუშკინის ქ. №172; გოგოლის ქ. №11; მაიაკოვსკის ქ. №3-3ა, №55-23; ა.ჩხაიძისა და შავშთის ქუჩების კვეთა; ს. მესხის ქ. #40-42; თამარის დასახლება სახლი №26, სახლი №23; აფხაზეთის ქუჩა; ქათამაძის ქ. #42; კაზინეთის ქ. #13; ნაჭყეპიას ქ. #1; ხელვაჩაურის საავადმყოფოს მიმდებარედ; დიდაჭარის ქ. №35; ფრ. ხალვაშის მე-15 ჩიხი №1; ზ. გორგილაძის ქ. №54/62; ტბ. აბუსერიძის ქ. №1 -3, №21, №25; 26 მაისის ქ. №13; გენ. ასლან აბაშიძის ქ. №17; ხიმშიაშვილის ქ. №25; №43 -45; ლერმონტოვის ქ. №104-106, №88; მელიქიშვილის ქ. №110 ს. ხიმშიაშვილის ქ. №94; ჯავახიშვილის ქ. №47-49, №51, №67-73, №78-ა; გ.ბრწყინვალეს ქ. № 52/54; რურუას ქ. № 4, ნონეშვილის ქ. № 58/60, ყადირ შერვაშიძის ქ. № 144-116) სპორტული მიწის სტადიონის კაპიტალური შეკეთება , სადაც შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები: შეიცვალა მოედნის შემომზღვედავი ღობის სექციის დაზიანებული მავთულბადე ფ-3,5მმ - 5546,06 კვ.მ., შეიცვალა შესასვლელი - 24 ცალი კარი, დაიგო - 12903,60 კვ.მ. ხელოვნური საფარი, შეიღება ლითონ-კონსტრუქციები - 9004,80 კვ.მ., მოეწყო - 7 ცალი ფეხბურთის ახალი კარი, გამოიცვალა კალათბურთის ფარი კალათითა და ბადით - 76 ცალი, შეიცვალა ფეხბურთის კარებზე ბადეები - 56 ცალი, მოეწყო ხელოვნური საფარის საფუძვლის შემასწორებელი ფენა - 3244 კვ.მ., აგრეთვე მოეწყო ბეტონის არმირებული ფილა - 434,30 კუბ.მ., შეიცვალა დაზიანებული ძელსკამები - 30 გრმ.მ., დამონტაჟდა პლასტმასის ანტივანდალური - 40 ცალი სკამი, დამონტაჟდა 10 განათების ბოძი და 38 პროექტორის კომპლექტი.

სპორტული ტრენაჟორის შეძენა-მონტაჟი - განხორციელდა 7 კომპლექტი (1 კომპლექტში 10 ცალი) სპორტული ტრენაჟორის შეძენა-მონტაჟი შემდეგ მისამართებზე: ჭავჭავაძის ქუჩა №78/88, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №13/11, რურუას ქუჩა №4, ტაბიძის ქუჩა №17, აფხაზეთის ქუჩა №8, ნონეშვილის ქუჩა №58/60 და ნიკო მუსხელისვილის ქუჩა № 73.



ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის დასრულება - მოეწყო მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტები - 111,33 კუბ.მ., გადახურვის ფილა - 673,59 კუბ.მ., დიაფრაგმები - 55 კუბ.მ., კიბე - 27,04 კუბ.მ., სართულებზე საკედლე ბლოკებით ამოშენდა კედლები და შიდა ოთახების ტიხრები, მოეწყო ორმაგი ნესტგამძლე თაბაშირმუყაოს ფილები ლითონის კარკასისა და ბგერასაიზოლაციო მასალით 587 კვ.მ., მოეწყო მეტალოპლასტმასის ყრუ კარები 90,67 კვ.მ., სან.კვანძებში და საშხაპებში მოეწყო კერამიკული ფილები, შებათქაშდა ამოყვანილი კედლები 2826 კვ.მ., მოედნის პერიმეტრზე მოეწყო ზედაპირული წყლების გადასაყვანი შემკრები არხი ბ-25 კლასის ბეტონით 7 კუბ.მ., 2600 გრმ.მ.-ზე მოეწყო სადრენაჟე სისტემა და 1800 გრმ.მ.-ზე მის არხებში არაქსოვადი მასალის სპეც ქეჩის საფენი, მოეწყო 1110 გრმ.მ. ბაზალტის ბორდიური.

მიღწეული შედეგები:

განახლებულია ქალაქის სასპორტო ინფრასტრუქტურა.

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 180,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 119,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,8%;

➤ პროგრამის აღწერა:

ადმინისტრაციული საქმიანობისათვის გატარდა რიგი სამეურნეო სამუშაოები, დაფინანსდა ცენტრის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები კავშირგაბმულობის, სატელეკომუნიკაციო, კომუნალური და სხვა. აერპნევმატურ ნაგებობაში ყინულის მოედნის ირგვლივ 545 კვმ დაიგო კაუჩუკის ფილები. ადმინისტრაციული შენობა შეიფუთა თუნუქის ფურცლებით; ყინულის მოედნის გამაციებელი სისტემის შესავსებად შეძენილი იქნა ეთილენ გლიკოლის ხსნარი; გამაციებელი აგრეგატის სისტემის შესავსებად შეძენილია ფრეონის აირი; შესაბამისი სამსახურების მიერ შემოწმებული იქნა ელექტრო მოწყობილობების იზოლაციისა და დამიწების მდგომარეობები, დამუხტული და შემოწმებული იქნა 37 ერთეული ცეცხლმაქრი; შედგენილია სამი შენობისათვის საევაკუაციო გეგმა; ჩაუტარდა ტესტირება აერპნევმატური ნაგებობების თოკის კიბეებს;

ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილ იქნა აერპნევმატური ნაგებობის შესაწები მოწყობილობის კომპლექტი; მიმწოდებელთან გაფორმდა ხელშეკრულება ყინულის მომვლელი მანქანის მოწოდებაზე.

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება - ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ჰოკეის ჯგუფი, მოწვეულია ჰოკეის მწვრთნელი, წვრთნას გადის საქართველოს ყინულის ჰოკეის გუნდის წევრები რომლებიც რეგულარულად უტარებენ მასტერკლასს ჰოკეის ჯგუფში გაერთიანებულ მოზარდებს;

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება - ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 9 სამოყვარულო ჯგუფი, 2 სინქრონული ფიგურული ციგურაობის გუნდი, 2 ერთეულთა თანრიგის ნაკრები, რომელშიც გაწევრიანებულია 370-მდე მოზარდი. 2016 წლის 25 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით ბუდაპეშტში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრი სინქრონულ ფიგურულ



ციგურაობაში Budapest Cup 2016, სადაც ცენტრის სიქრონულმა ფიგურული ციგურაობის გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა. 2016 წლის 21-24 აპრილს საერთაშორისო ფიგურული ციგურაობის ჩემპიონატზე „Roster Cup 2016“ მონაწილეობდნენ ერთეულთა თანრიგის სპორტსმენები; 2016 წლის 24.06.-17.07 პერიოდში ერთეულთა თანრიგის სპორტსმენები სასწავლო საწვრთნო შეკრების განხორციელების მიზნით, რომელიც ტარდება მიხაილ ჰულტის ხელმძღვანელობით იმყოფებოდნენ გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ ობერსტდორფში; 2016 წლის 03-09 დეკემბერს ერთეულთა თანრიგის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ჩემპიონატში SANTA CLAUS CUP 2016, რომელიც გაიმართა უნგრეთის რესპუბლიკის ქალაქ ბუდაპეშტში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ცენტრის ბაზაზე არსებული სპორტული კლუბების საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობა.

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 84,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 77,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,4%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ეზოს ფეხბურთი - ქალაქის ადმინისტრაციულ უბნებში ჩამოყალიბდა 10 საფეხბურთო გუნდი, რომელშიც გაწევრიანებულია 2001-2006 წლებში დაბადებული მოზარდები.

2016 წლის 18 მარტიდან 22 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდა საგაზაფხულო - საშემოდგომო ლიგა, სადაც გამოვლინდა როგორც შეჯიბრის, ასევე, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. მათ ფასიანი ვაუჩერები, თასები და მედლები გადაეცათ. ტურნირი როგორც ადმინისტრაციული უბნების ტერიტორიაზე, ისე სპორტულ ახალგაზრდული ცენტრის მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზში ჩატარდა. მასში მონაწილეობას იღებდა ქ. ბათუმის 10 ადმინისტრაციული ერთეულის 500-მდე ბენეფიციარი;

ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი გარბენი - ჩატარდა 2016 წლის 04 სექტემბერს, რომელშიც მონაწილეობა 50-მდე მოქალაქემ მიიღო, გამოვლინდა ხუთი ნომინაცია, გამარჯვებულებს გადაეცათ ბრენდირებული სპორტული მაღაზიის 500, 300 და 200 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები, სიგელები და პრიზები.

სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ველომარათონი - ჩატარდა 2016 წლის 7 აპრილს რომელმაც სტარტი აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიიდან აიღო და საოცრებათა პარკში დასრულდა; მონაწილეობდა 200-მდე ველომოყვარული. პრიზებითა და ფასიანი ვაუჩერებით დაჯილდოვდნენ ტურნირში გამარჯვებული მამაკაცები და ქალბატონები, ასევე უხუცესი და ახალგაზრდა მონაწილეები.

Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო ლიგა - მონაწილეობა მიიღო 13 გუნდის 48 მოყვარულმა კალათბურთელმა. პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ პრიზებითა და ფასიანი ვაუჩერებით;



ვეტერანებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირის ორგანიზება - 12-18 მაისის ჩათვლით საჭადრაკო კლუბ "ნონა"-ში ჩატარდა ჩემპიონატი ვეტერანთა შორის სპორტის 3 სახეობაში. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

საჯარო უწყებებს შორის მინი-ფეხბურთში ტურნირი - ტურნირში 7 უწყება მონაწილეობდა. მინი-ფეხბურთში რიგით მეათე ჩემპიონატი ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა. გამარჯვებულებს საჩუქრები და თასები გადაეცათ. დაჯილდოვდნენ საუკეთესო მოთამაშეებიც.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა".

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 338,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 333,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,8%

➤ **პროგრამის აღწერა:**

საჭადრაკო კლუბის მიერ განხორციელდა საწვრთნო ბაზის სრულყოფა; საჭადრაკო კლუბ ნონასთან არსებულ ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა და მოზარდთა მომზადება; ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება; შიდა ტურნირების ორგანიზება; საჭადრაკო მატჩების ორგანიზება უცხოელ მოჭადრაკეებთან, საჭადრაკო ლაივ დაფების მეშვეობით; ღია საერთაშორისო ნორმირებული ფესტივალის ორგანიზება; შიდა საჭადრაკო ტურნირების ორგანიზება.

კლუბის მიერ ორგანიზება გაეწია არაერთ ფესტივალს, ასევე მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში: კერძოდ, საერთაშორისო ფესტივალი "ბათუმის მერიის თასი-2016"; ესპანეთის ქალაქ ბანასკეში გამართული XXXVI ღია საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი "ვილა დე ბანასკე"; საერთაშორისო ფესტივალი "ბათუმი-2016" და "შავი ზღვის დელფინი"; ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატი (17-28 აგვისტო, 2016, პრავა, ჩეხეთი) 16 წლამდე ასაკის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის და მსოფლიო ასაკობრივი ჩემპიონატი (20 სექტემბერი-4 ოქტომბერი, 2016) 18 წლამდე ასაკის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საჭადრაკო კლუბის მიერ ორგანიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირები, საჭადრაკო კლუბის წევრები და ასაკობრივი ჯგუფები მონაწილეობას ღებულობენ ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში.

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 08)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 131,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 130,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



ქვეპროგრამების ფარგლებში ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა შემდეგ სპორტულ შეჯიბრებებში: 1. ქ. თბილისი, 05-08 მაისი - საქართველოს თასის ჩემპიონატი - III ადგილი; 2. ქ. სამტრედია, 24-26 მაისი - შეჯიბრი დოღში - I ადგილი; 3. ქ. სენაკი, 21-25 ივნისი - შეჯიბრი დოღში - I, II ადგილი; 4. ქ. თბილისი ნატახტარი, 29-30 ივლისი - შეჯიბრი კლუბებს შორის - II, III ადგილი; 5. ბეშუმბი, 5-7 აგვისტო - შეჯიბრი დოღში - I ადგილი; 6. ბახმარო, 19-20 აგვისტო - შეჯიბრი დოღში - I ადგილი; 7. ქ. სამტრედია, 24-25 აგვისტო - შეჯიბრი სამტრედიის პირველობა - I, II ადგილი; 8. ქ. თბილისი, 26-29 აგვისტო - საქართველოს პირველობა - II ადგილი; 9. ქ. თბილისი, 21-26 სექტემბერი - კავკასიის თასი, მსოფლიო ეტაპი - II ადგილი; 10. აბაშა, 30 სექტემბერი- 2 ოქტომბერი - საქართველოს პირველობა ნაციონალურ სახეობაში - ორი I ადგილი; 11. აღმოსავლეთის პირველობა იუნორთა შორის - II, III ადგილი; 1. ქ. თბილისი, 15 დეკემბერი - თბილისის მერიის თასის შეჯიბრი - II ადგილი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია მუნიციპალური საცხენოსნო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობისა და საცხენოსნო სპორტის პოპულარიზაციის ღონისძიებები; უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებზე.

ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომი (პროგრამული კოდი 05 01 09)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 73,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 49,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 67,0%. ა(ა)იპ - ბათუმის ავტოდრომის მიერ 2016 წლისათვის დაგეგმილი იყო რიგი ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებული იყო ტრასის უსაფრთხოების ამაღლებისთვის (ტერიტორიის განათება, ტრასის ბეტონის კვანძებზე ასფალტის საფარის დაგება). აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოები ორგანიზაციის მიერ სრულად ვერ განხორციელდა, რამაც გამოიწვია ქვეპროგრამის გეგმის შესრულების (დაფინანსების) დაბალი პროცენტული მაჩვენებელი.

➤ **პროგრამის აღწერა:**

კლუბმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჩემპიონატში (წყვილთა რბოლაში, დრიფტი).

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ავტოდრომის სახელით მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებში.

სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 10)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 07 ივნისის #190 ბრძანებით



გამოყოფილი - 4000 ლარი, აჭარის სომხურ სათვისტომოსთან არსებული საფეხბურთო გუნდის - „ახპიური“ სპორტული სააგენტო SMB-ის მიერ ორგანიზებულ მინი ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატში, ბიზნესის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის საწევრო დავალიანების დაფარვის მიზნით, ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი 2016 წლის 29 თებერვლის #189 ბრძანებით გამოყოფილი - 350 ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის („ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „სპორტის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის „სპორტული ღონისძიების“ („სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან საახალწლო-საშობაო შეხვედრა“) ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 29 დეკემბრის №1104 ბრძანებით გამოყოფილი (გურამ ჭანტურია) თანხა) მიზნით

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 11)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 400,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 400,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ პროგრამის აღწერა:

"საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის #107 დადგენილების შესაბამისად ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფინანსება.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის #107 დადგენილების შესაბამისად დაფინანსება.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (განათლებისა და კულტურის განყოფილება).

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 515,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 494,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს ჩატარდა შემდეგი ფესტივალები:
ა) „კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი“ - ფესტივალი ჩატარდა 2016 წლის 27-28 აგვისტოს. კლასიკური მუსიკის ვარსკლავების მონაწილეობით



2 დღის განმავლობაში გაიმართა კონცერტები. ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყო ქართველი და უცხოელი კლასიკური მუსიკის შემსრულებლები.

ბ) „ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი“ - ფესტივალის ფარგლებში შეძენილი იქნა ფესტივალის სცენარი. ფესტივალი გაიმართა 2016 წლის 31 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით. ფესტივალი მოიცავდა ოთხ საკონკურსო საფესტივალო კომპონენტს. კერძოდ, მუსიკალური (ვოკალი); ახალგაზრდა ფოტოხელოვანები, ახალგაზრდული კინოს, კლასიკური მუსიკის შემსრულებლები (ინსტრუმენტალისტები).

გ) „საავტორო კინოს ბათუმის XI საერთაშორისო ფესტივალი“ - ფესტივალი ჩატარდა 2016 წლის 18 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით. გაიმართა საავტორო ფილმების ბათუმის XI საერთაშორისო კინო-ფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, მოეწყო კინოჩვენებები, მოწვეული იყო 50-მდე ცნობილი კინო-რეჟისორი და კრიტიკოსი.

დ) მოდის საერთაშორისო კვირეული - პროექტის ფარგლებში ბათუმში იმყოფებოდნენ მოდის ინდუსტრიიდან კრიტიკოსები, ბლოგერები, ჟურნალისტები, პოპულარული მოდის ჟურნალის გამომცემლები, დიზაინერები. პროექტი განხორციელდა 4 დღის განმავლობაში, მოეწყო ცნობილი ბრენდების კოლექციებისა და ქართველი პროფესიონალი დიზაინერების გაზაფხული - ზაფხულის კოლექციების ჩვენებები, გაიმართა შოუ-რუმები, აქსესუარების გამოფენები, მასტერკლასები, ცნობილი დიზაინერების პრესკონფერენციები.

ე) „კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი“ - ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული იყო საზოგადოებრივი მაუწყებლებისა და რეიტინგული არხების ხელმძღვანელები და გადამღები ჯგუფები (ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუსეთი, თურქეთი, ირანი). ბათუმს სტუმრობდა მსოფლიო დონის სპეციალისტები (ჟიურის წევრები, სპეციალური სტუმრები), რომლებმაც ჩაატარეს მასტერ - კლასები სხვადასხვა მიმართულებით, ჩატარდა საოპერატორო კონკურსი.

ვ) „ბათუმის ანიმაციური ფილმების VIII საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა“ - ფესტივალის ფარგლებში განხორციელდა ბავშვებისა და მოზარდებისათვის გასართობი და შემეცნებითი ხასიათის კინოჩვენებები. პროგრამაში გათვალისწინებული იყო 15-მდე ქვეყნიდან არანაკლებ 25 ფილმის წარდგენა (2014-2015 წლებში წარმოებული ნამუშევრები), მოეწყო ახალგაზრდა ანიმატორების ფილმებისა და ანიმაციის ფილმწარმოების ინტერაქტიული პრეზენტაციები.

ზ) პროექტის „ადამი - მედიის პრიზი კულტურული მრავალფეროვნებისთვის აღმოსავლეთ ევროპაში“ - ღონისძიება ითვალისწინებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოღვაწე ჟურნალისტების, მაუწყებლობების, კინორეჟისორების მიერ შექმნილ საუკეთესო აუდიო-ვიზუალური ნამუშევრების შერჩევას, რომლებიც რეგიონში არსებულ ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ თემებს ასახავს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში მოღვაწე მედიის პროფესიონალებმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია საერთაშორისო ფესტივალები.



კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (განათლებისა და კულტურის განყოფილება).

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 250,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 238,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,5%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დაფინანსდა შემდეგი ინიციატივები:
პროექტი - სამუელ მარშაკის პიესა „თორმეტი თვე“ - პროექტის ფარგლებში დაიდგა სამუელ მარშაკის ცნობილი პიესა „თორმეტი თვე“. ეს იყო სტანდარტული ილუსტრირებულ დეკორაციაში გათამაშებული ზღაპარი, სადაც გამოყენებული იქნა გრაფიკული გამოსახულებები, სპექტაკლი დატვირთული იყო ქორეოგრაფიით. სპექტაკლი გათამაშდა ექსპერიმენტული თეატრის სცენაზე და არამარტო, ეს ნახა ბათუმის მოსახლეობის და ტურისტების დიდმა ნაწილმა. პროექტის ავტორია - ა(ა)იპ „ექსპერიმენტული თეატრი ყველგან“.

პროექტი - „ახალი სიმღერა ბათუმზე“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა კომპოზიტორი ნანა მესხის მიერ დაწერილი სიმღერის „ახალი სიმღერა ბათუმზე“ არანჟირება, სტუდიური ჩაწერა და განხორციელდა ვიდეო გადაღების უზრუნველყოფა. პროექტის ავტორი - ნანა მესხი.

პროექტი - საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ 2016“. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებდა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ 2016" - მონაწილეთა (150 მონაწილე) ტრანსპორტირებას, ფესტივალის სარეკლამო ბანერებისა და დროშების მონტაჟისა და დემონტაჟის დაფინანსებას. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „კულტურისა და ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის საზოგადოება“.

პროექტი - „მუსიკალური კოლაბორაციები“. პროექტი მიზნად ისახავდა საორკესტრო საკრავებზე შემსრულებლების მომზადებას/კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრების პოპულარიზაციას. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალგაზრდა სტუდენტ-შემსრულებლების გაერთიანება და ექსპერიმენტული სამემსრულებლო ჯგუფი, რომლებმაც მოამზადეს სხვადასხვა ჟანრის რეპერტუარი, მონაწილეობა მიიღეს ბათუმის მუსიკალურ ცხოვრებაში. პროექტის ფარგლებში მოეწყო გასტროლი ქუთაისში და ტრაპზონში. პროექტის ავტორი- ა(ა)იპ „არტ-ალტერნატივა“.

პროექტი - „ინკლუზიური ბავშვების თვალთ ნანახი სამყარო (შეჩერებული წამი)“. პროექტის ფარგლებში მოეწყო ინკლუზიური ბავშვების მიერ გადაღებული ფოტო-გამოფენა, რომელიც გაიმართა ბათუმის ბულვარსა და ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. გამოიცა კატალოგი. პროექტის ავტორი - ფ/პ ინგა დიასამიძე.

პროექტი - „სრულ - მეტრაჟიანი მხატვრულ დოკუმენტური ფილმი „აღფრთოვანება შერჩათ ტრიბუნებს“. პროექტის ფარგლებში მოხდა ფილმის გადაღება, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის საიუბილეო თარიღს. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი „თამარის დარბაზი“. ბიუჯეტი 9 200 ლარი.

პროექტი - „ტარიელ ხარხელაურის საიუბილეო ღონისძიება“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტარიელ ხარხელაურის საიუბილეო ღონისძიება



(ხევისურულ-აჭარული ეთნოგრაფიული კულტურის სადამო), პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „კავკასიონი“.

პროექტი - „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების II ეროვნული კონკურსი“. პროექტი გულისხმობდა ქვეყნის მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო და სამუსიკო სკოლებში, აგრეთვე კულტურისა და ხელოვნების ცენტრებთან არსებულ საბავშვო გუნდების ჩართვას ეროვნულ კონკურსში. კონკურსი ჩატარდა 2 ტურად, პირველი რეგიონალური ტური, ერთდროულად ჩატარდა საქართველოს თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში. მეორე ტური კი ჩატარდა დედაქალაქში. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ საქართველოს საგუნდო საზოგადოება; პროექტის ბიუჯეტი - 1750 ლარი; განხორციელების ვადები: 20 აპრილი - 21 მაისი.

პროექტი - „ოჯახში დამზადებული ღვინის IX ფესტივალი“. პროექტის დასკვნით ეტაპზე ჩატარდა თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრის კონცერტი, რომელშიც ასევე მონაწილეობა მიიღო აჭარის სახელმწიფო კაპელამ, მომღერლებმა: ნატო მეტონიძემ და ლიზა ბაგრატიონმა. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანე“.

პროექტი - წიგნი „მამულისათვის თავდადებული“. პროექტის ფარგლებში გამოიცა წიგნი „მამულისათვის თავდადებული“, რომელიც ეძღვნება დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ხსოვნას. ასევე მოეწყო წიგნის პრეზენტაცია. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია სოროპტიმისტ ინტერნაციონალის კლუბი „ბათუმი“.

პროექტი - „მუსიკალური სახლი“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ნატო თოთიბაძის საავტორო საბავშვო სიმღერების კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 6-დან 15 წლამდე ასაკის ბათუმისა და თბილისის მუსიკალური სტუდიების წარჩინებულმა მოსწავლეებმა. პროექტის ავტორი - შპს „ბგერა“.

პროექტი - „საერთაშორისო პრინტ ფესტივალი LIFESTYLE“. პროექტი ითვალისწინებდა თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის-ბეჭდვითი მედიის/ხელით ბეჭდვის/-პრინტის საერთაშორისო პირველი ფესტივალის ორგანიზებას. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ- „არტ-კავკასია-სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ვიზუალური ხელოვნებისა და არტ-ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი რეგიონალური ასოციაცია“.

პროექტი - „სპექტაკლი „ელეონარას“ დადგმის ორგანიზება. პროექტის ფარგლებში დაიდგა სპექტაკლი „ელეონორა“. პროექტის ავტორი - ფ/პ ეთერი თავართქილაძე. პროექტის ბიუჯეტი-10000 ლარი; განხორციელების ვადები: 20 ივნისი - 30 ოქტომბერი.

პროექტი - „წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია 25 წლისაა“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა საიუბილეო ღონისძიებები. პროექტის ავტორი - შპს „ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა“.

პროექტი - „მამია ვარშანიძის 100 წლის იუბილე“. პროექტის ფარგლებში აღინიშნა მამია ვარშანიძის 100 წლის იუბილე. პროექტის ავტორი-ა(ა)იპ „ლიტერატურის განვითარების ფონდი“.

პროექტი - "მედეა, როგორც კავშირი ბათუმსა და ბარსელონას შორის“. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმში დაიდგა მედეას თემატიკაზე თანამედროვე პერფომანსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ესპანელმა და ბათუმელმა მსახიობებმა. პროექტის ავტორი-ა(ა)იპ „თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი“.

პროექტი - "ბათუმი ჩემი სახლია“. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმში ჩატარდა ღონისძიება - „ბათუმი ჩემი სახლია“ . რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართველმა



ცნობილმა მომღერლებმა და ადგილობრივმა ხელოვანებმა. პროექტის ავტორი-შპს „კატრინი“.

პროექტი - „კინომობილი“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა კინოჩვენებები. მოხდა ფილმების განხილვა. პროექტის ავტორი - ფ/პ კობა ბერეკაშვილი.

პროექტი - „თეატრი, თანამედროვეობა, კრეატივი“. პროექტის ფარგლებში ესტონელი რეჟისორის დახმარებით დაიდგა სპექტაკლი „ალუბლის ბაღი“. ჩატარდა ორი საჯარო ლექცია ქ. ბათუმში. პროექტის ავტორი - ფ/პ ოთარ ქათამაძე.

პროექტი - საერთაშორისო ტალანტების ფესტივალ კონკურსი BLACK SEA STARS 2016“. პროექტში მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველმა ახალგაზრდებმა. კონკურსის გრან პრის მფლობელს გადაეცა ფესტივალის მთავარი პრიზი - მოწვევა საერთაშორისო კონკურსზე კუნძულ მალტაზე, სადაც იგი წარადგენს საქართველოს და აჭარის რეგიონს. პროექტის ავტორი-ა(ა)იპ -ასოციაცია შავის ზღვის გლობალ არტ ლიგა.

პროექტი - „ცეკვა და თანამედროვეობა“. პროექტის ფარგლებში ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ანსამბლი „ბათუმის“ პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ანსამბლის ფოტო გადაღება პოლონელი ფოტოგრაფის რადეკ პოლაკის მიერ. პროექტის ავტორი: ინდ. მეწარმე ეთერ კაკალაძე.

პროექტი - ფოტოკონკურსი, ფოტო-გამოფენა „ბათუმი - ჩემი სიყვარულია“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფოტო გამოფენა-კონკურსი, სადაც ფოტოხელოვანებმა წარადგინეს ბათუმის ფოტოები. შეიქმნა ქალაქის ახალი ფოტო-ისტორია. გამოფენა-კონკურსი ჩატარდა „ბათუმობა-2016“-ის ფარგლებში. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ „ჩვენ და თანამედროვეობა“.

პროექტი - „უზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიების ორგანიზება“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება, სადაც გაიხსენეს 1990-2008 წლებში უზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანები. პროექტის მიზანი იყო მათი სახელის უკვდავყოფა. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ „ერთობა თანადგომისათვის“.

პროექტი - საქველმოქმედო სადამო „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა საქველმოქმედო კულტურული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პოპულარულმა შემსრულებლებმა. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ „ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდი“.

პროექტი - „ერევანი - ბათუმი, გზა მეგობრობისაკენ“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფილმის - ერევანი - ბათუმი, გზა მეგობრობისაკენ" გადაღება. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ „აგორა ჯორჯია“.

პროექტი - „აზდაკის ბაღი“ ქ. ბათუმში. პროექტის ფარგლებში დაიდგა სპექტაკლის „ბომები“, სადაც მონაწილეობა მიიღო 18 შშმ და 7 ტიპიური განვითარების მქონე მსახიობმა. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის“.

პროექტი - „ახალი წლის ზღაპარი“. პროექტის ფარგლებში დაიდგა სპექტაკლი, მოეწყო გამოფენა, მომზადდა ვიდეოფილმი. პროექტში მონაწილეობა მიიღო 35 შშმ და 3 პროფესიონალმა მსახიობმა. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ- სამედიცინო ასოციაცია „თანა“.

"პროექტი - „სინესთეზია“. პროექტის კონტექსტში იგულისხმებოდა ურბანულ და მუსიკალურ თემებზე ინტერაქტიული ლექციისა და ურბანული მუსიკის სმენით გამოწვეული ქალაქის არქიტექტურის გააზრება, ფერადი აღქმა. ჩატარდა ლექცია და გაიმართა პერფომანსი. პროექტის ავტორი: ფ/პ თინათინ ცისკარაძე.

➤ მიღწეული შედეგები:



უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობის დამატებითი შესაძლებლობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (განათლებისა და კულტურის განყოფილება).

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 20,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 17,8%. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა ხორციელდებოდა კომისიური წესით. საანგარიშო პერიოდში ხელშეწყობის მოთხოვნით წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ექვსი განცხადება, რამაც განაპირობა ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ქ. ბათუმში მოღვაწე შემოქმედებითი ჯგუფების, ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული ინდივიდუალური შემსრულებლების, მხატვრებისა და ფოტოხელოვანების მხარდამჭერი ღონისძიებები. კერძოდ, იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში. ქვეპროგრამით დაფინანსდა 6 ხელოვანი.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია შემოქმედებითი ჯგუფების, ინდივიდუალური შემსრულებლების, მხატვრებისა და ფოტოხელოვანთა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 3 231,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 168,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით განხორციელდა სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები და კონცერტები.

საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ა) 18 მარტი - ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“- მივლინებული იყო ქ. თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატის „საუკუნის ქორეოგრაფიის“ წოდებისა და ღირსების ორდენის კავალერის რეზო ჭოხონელიძის საღამოზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის მასშტაბით მომუშავე სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლებმა. აღნიშნულ ღონისძიებაზე მივლინებული იქნა ქორეოგრაფიული ანსამბლი 59 ადამიანის შემადგენლობით; ბ) 10-13 აპრილი - ქალთა



კამერული გუნდი მონაწილეობდა ქ. თბილისში საგუნდო მუსიკის IV საერთაშორისო ფესტივალში. ფესტივალის ტარდება ყოველი წლის გაზაფხულზე. მასში მონაწილეობას დებულობენ საქართველოში არსებული აკადემიური და საბავშვო საგუნდო კოლექტივები; გ) 28 მაისი - ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“- მივლინებული იყო ქ. ქუთაისის ვახტანგ კუპრეიშვილის სახელობის ქორეოგრაფთა, მსახიობ-მოცეკვავეთა და მუსიკოსთა ფონდი „მადლიერები“-ს მიერ, ქ. ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში შექირვებული და გარდაცვლილი ქორეოგრაფების, მსახიობ მოცეკვავისა და მუსიკოსის ოჯახების დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო საღამოზე; დ) 30 ივნისი-9 ივლისი - ქორეოგრაფიული ანსამბლი მივლინებული იქნა ლატვიის რესპუბლიკაში იურმალას ფესტივალში.

ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა - საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- საახალწლო ღონისძიებები, საახალწლო კონცერტები ბათუმში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ფოლკლორის, კლასიკისა და თანამედროვე მუსიკის წარმომადგენლებმა, კონცერტები გაიმართა 2015 წლის 26 დეკემბრიდან 2016 წლის 14 იანვრის ჩათვლით. საახალწლო ღონისძიების ორგანიზება მოიცავდა: მონაწილეთა ჰონორარებს და სიმღერების სტუდიურ ჩაწერას, კერძოდ, მონაწილეობდნენ: სოფო ხალვაში და ბენდი, საახალწლო მიუზიკლი, თითების თეატრი, Goofy Land, backwarmer, The Black marrows, Afternoon Version, Salio, The Jetbird, Groove report, Soft Eject System, Green Room, City band, ჯგუფი "ეგარი".

- 7 იანვარს ბათუმის ხელოვნების ცენტრში გაიმართა ჯანსუღ კახიძის 80 წლის საიუბილეო კონცერტი, მონაწილეობდნენ: სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი ვახტანგ კახიძე, სოლისტები: ნელი სებისკვერაძე, ნატო კახიძე, გიორგი სუხიტაშვილი, გოგა მესხი.

- 14 იანვარს ასევე ხელოვნების ცენტრში ჩატარდა ზვიად ბოლქვაძის პროექტი „ნუ კარგავ წამს“. კონცერტში მონაწილეობდნენ: ზვიად ბოლქვაძე, გიორგი ბერიძე, ნიკო ბერიძე, არჩილ გოგიტიძე და სხვები.

- დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: ბათუმის ბონის კულტურის სახლში გაიმართა ტრადიციულად დედის დღის აღსანიშნავი საზეიმო საღამო. საღამოში მონაწილეობა მიიღო ბათუმის კულტურის ცენტრის შემოქმედებითა ჯგუფებმა - ენვერ ხაბაძის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლი, ხალხურ საკრავიერ ინსტრუმენტალისტთა ტრიო, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი და ქალთა ფოლკლორული ანსამბლი. მრავალშვილიან დედებს გადაეცათ ყვავილები და საჩუქრები.

- 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა - ბათუმის გათავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები. "კულტურის ცენტრის" შემოქმედებითა კოლექტივმა - სასულე ორკესტრმა შეასრულა მარშები. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით.

- 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, საქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის აღნიშვნის მიზნით, მოხდა



მემორიალის შემკობა ყვავილებით, ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ხალხური სიმღერების ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა.

- 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – ორგანიზებული იქნა ვეტერანებისა და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით სასულე ორკესტრის მუსიკის თანხლებით, ასევე ფერიის პანთეონში გმირთა საფლავის შემკობა გვირგვინით. ღონისძიება სადღესასწაულო ბანკეტით დასრულდა.

- 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, მოეწყო გამოფენა „დამოუკიდებლობის 25 წელი“ ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, ანბანის კომპთან გაიმართა კონცერტი ქართველი პოპულარული მომღერლების შესრულებით (ლ. ბაგრატიონი, ნ. მეტონიძე, ა. ნიჟარაძე, ა. ჯოხაძე, ნ. ზადურაშვილი და სხვ.). კონცერტში მონაწილეობდნენ, ასევე, კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები.

- 1 ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მოირთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. პარკში დამონტაჟდა სცენა, სადაც დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საბავშვო კონცერტები ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლების მონაწილეობით, ბავშვებს განწყობას უქმნიდნენ სხვადასხვა ზღაპრის გმირები, გაშვებული იქნა ჰელიუმის ბუშტები და მოეწყო უფასო ნაყინის აქცია. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ასევე ბათუმის ჯაზ ბიგბენდმა.

- ბათუმობა 2016- სახალხო დღესასწაული ჩატარდა სექტემბრის პირველ კვირას 3-4 სექტემბერს. სადღესასწაულოდ მოირთო მემედ აბაშიძის ქუჩა ქოლგებითა და ყვავილებით, მოეწყო სხვადასხვა კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული და თეატრალური პერფომანსები, ანიმატორების და დრამერების ბენდის მსვლელობა, კულინარიული ფესტივალი, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-ბაზრობა, ხელოვნების ცენტრში გამოვლინდა საპატიო ბათუმელები, გაიმართა კონცერტი, ანბანის კომპთან გაიმართა პოპულარული ქართული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტი, დღის განმავლობაში მიმდინარეობდა გასართობი პროგრამა 6 მაისის პარკში ცნობილი ვარსკვლავების და მსახიობების მონაწილეობით. დღესასწაულზე მოწვეული იყვნენ უცხოელი დელეგაციები ბათუმთან დამშობილებული ქალაქებიდან.

საახალწლო ღონისძიებები (2017 წლის) - ახალი წლის ღონისძიებების ორგანიზებაზე მომსახურება მოიცავდა ქუჩების სადღესასწაულოდ მორთვას, სცენის დეკორირებას, გახმოვანებისა და სხვა აპარატურის ქირავნობას, პოლიგრაფიულ მომსახურებას. საახალწლო კონცერტებში მონაწილეთა ჰონორარებს.

დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები - დიასპორებთან ერთად განხორციელდა 27 ერთობლივი ღონისძიება.

➤ მიღწეული შედეგები:

ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები, განხორციელებულია მუნიციპალური შემოქმედებითი კოლექტივების საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.



➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 760,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 756,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება - საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;

საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ-გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელისა და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების (133 ღონისძიება) ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, ბათუმში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები, სპეციალიზირებული სემინარები და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

მემორიალების პროექტების შედგენა (პროგრამული კოდი 05 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (განათლებისა და კულტურის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 10.0 ათასი ლარი; საანგარიშო პერიოდში დაფინანსება არ განხორციელებულა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა და 9 აპრილის გმირთა მემორიალების ესკიზების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების შესაბამისად, 2016 წლის განმავლობაში კონკურსი გამოცხადდა სამჯერ, თუმცა გამარჯვებული არ გამოვლენილა, რამაც გამოიწვია ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 195,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 163,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 83,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

ახალგაზრდების საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში აქტიურად ჩართვის მიზნით შეიქმნა „ახალგაზრდული ცენტრი“, რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას. სადაც ახალგაზრდებს (ასაკი 14-29 წელი) მიეცემა შესაძლებლობა შეისწავლონ პროექტების მართვისათვის საჭირო აუცილებელი უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყობა ახალგაზრდული ინიციატივების გაშუქებას, რაც გააძლიერებს ახლადშექმნილი ახალგაზრდული ჯგუფების მოტივაციას, გაზრდის ახალგაზრდების მიღწევათა შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობასა და წახალისებს დონორებს ახალგაზრდული პროექტების მხარდასაჭერად; ასევე ხელი შეეწყობა ახალგაზრდებში მოხალისეობის მოტივაციის ზრდას, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას სპორტული აქტივობების, მასობრივი კამპანიებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით.

2016 წლის განმავლობაში ორგანიზება გაეწია 20 ტრენინგ-სემინარის ჩატარებას, ცენტრის ბაზაზე შექმნა 3 საინიციატივო ჯგუფი, ახალგაზრდების მიერ ინიცირებულ და განხორციელებულ იქნა 8 პროექტი, კერძოდ, 1. ბანაკი "სკაუტური სამყარო". დევიზით -, "ჩვენ ვართ მომავალი"; 2. "ახალგაზრდების პერსპექტივები რეგიონში"; 3. " მოსწავლის კინოსახელოსნო"; 4. „ფოტოფინიში“; 5. „აქტიური ცხოვრება ჩვენი სტიქიაა“; 6. „ახალწვეულთა ბანაკი“; 7. „ლიტერატურული სემინარების კვირეული ბათუმში“; 8. „ბათუმელ ახალგაზრდა მწერალთა წინასამობაო შეკრება - მასტერკლასი“.

➤ მიღწეული შედეგები:

შექმნილია ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული სივრცე, განხორციელებულია ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტები.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 18,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 18,0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ინტელექტუალური თამაშები რა? სად? როდის? ღონისძიება ითვალისწინებდა ქალაქის მასშტაბით მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. ღონისძიება განხორციელდა სამ ეტაპად: ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები; ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები; გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები; თამაშები ჩატარდა „MAK“-ის საერთაშორისო წესების დაცვით, jeopardy! - ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფი“ და „ბრეი-რინგი“-ს სისტემით. თითოეულ ეტაპზე გამოვლინდა გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ წიგნებით, თასებით, ფასიანი საჩუქრებითა და ბათუმის გარდამავალი თასით;

ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ - გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალურ კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის VIII-XII კლასის მოსწავლეებმა. პროექტში გაიმარჯვა სკოლა „ნიკეს“ მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ანრი ფადავამ („ქალაქ ბათუმის ეტალონი მოსწავლე“), რომელიც თბილისში გამართულ საფინალო შეხვედრაში დაეუფლა საქართველოს "ეტალონი" მოსწავლის სტატუსს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაზრდილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა.

სტუდენტური საზაფხულო დასაქმება (პროგრამული კოდი 05 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 85,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 83,0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 97,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სტუდენტური საზაფხულო დასაქმება: პროგრამა მიზნად ისახავდა ბათუმელი ახალგაზრდებისათვის დროებითი სამუშაო ადგილების შექმნას; ფინანსურ მხარდაჭერას; მოტივაციის ამაღლებას; პიროვნული პოტენციალის რეალიზებას; პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლას; გამოცდილების მიღებას. პროგრამა ითვალისწინებდა იმ სტუდენტების დასაქმებას, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში და სწავლობენ ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლო და პროფესიული სასწავლებლებში. სტუდენტები დასაქმდნენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში.

პრიორიტეტი კომისიური გადაწყვეტილებით მიენიჭათ შემდეგ სტუდენტებს: ა) სოციალურად დაუცველი; ბ) მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი ან მეტი შვილი) სტუდენტები; გ) მზრუნველობამოკლებული (დედით ან მამით ობოლი) სტუდენტები; დ) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ან გარდაცვლილად გამოცხადებული, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის შვილი; ე) სტუდენტები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იყვნიან ჩართულნი ქ.



ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ პროგრამებში (ეკოლოგიის, გამწვანების, გაწმენდით, სამუშაოებში ან სხვა აქტივობებში); ვ) მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები, რომელთა საერთო შეწონილმა საშუალო ქულამ შეადგინა 81 (ოთხმოცდაერთი) ქულა.

პროგრამის ფარგლებში, ერთი თვის განმავლობაში დასაქმებული იყო 200 სტუდენტი, თითოეული დასაქმებული სტუდენტის მიერ გაწეული შრომა ანაზღაურდა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით,

➤ **მიღწეული შედეგები:**

სტუდენტებისთვის შექმნილია სამუშაო გამოცდილების მიღების დამატებითი შესაძლებლობა.

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 331,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 307,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საანგარიშო წლის განმავლობაში მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით ისარგებლა 2703 ბენეფიციარმა, კერძოდ:

ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 313 ბენეფიციარი;

ეპილევსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 395 ბენეფიციარი;

მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 1924 ბენეფიციარი;

პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 56 ბენეფიციარი;

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება - 15 ბენეფიციარი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 21,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 17,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 83,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამით ისარგებლა 1142 ბენეფიციარმა. კერძოდ, გინეკოლოგისა და მამოლოგის კონსულტაცია, მამოგრაფია, ონკომარკერებით გამოკვლევა, საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, საშვილოსნოს ყელის დაზიანების ოპერაციული მკურნალობა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით განხორციელებულია დიაგნოსტიკა, საჭიროების შემთხვევაში ჩატარებულია ოპერაციული მკურნალობა.

ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 23,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 23,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

თანდაყოლილი ამოვარდნილობის და დისპლაზიის მკურნალობის კურსი ჩაუტარდა 180 ბავშვს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ორთოპედიული პათოლოგიის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებულია სქრინინგი და მკურნალობა;

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 95,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 80,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 25 ბენეფიციარს (18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემების მქონე პირი) ჩაუტარდა რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამა, ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება. ასევე პირები ჩართული არიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხდება საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარებულია სარეაბილიტაციო ღონისძიებები.



**მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება
(პროგრამული კოდი 06 01 05)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 84,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 73,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება გაეწია 531 ბენეფიციარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება.

**С ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება
(პროგრამული კოდი 06 01 06)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 270,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 270,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა С ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევები და განხორციელებულია პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგი და დიაგნოსტიკა - 2524 ერთეული.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია С ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევები და განხორციელებულია პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგი.

**შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია
(პროგრამული კოდი 06 01 07)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 197,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 188,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საკურორტო (ურეკი, წყალტუბო, ბორჯომი და ბაკურიანი) სამკურნალო რეაბილიტაციის პროგრამით ისარგებლა 308 ბენეფიციარმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის კურსი.



ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა (პროგრამული კოდი 06 01 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 21,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 17,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ბრონქული ასთმით, ასთმური და მორეციდივე ბრონქიტით და ქოლდ-ით დაავადებული პაციენტებისათვის ექიმ-ალერგოლოგის კონსულტაცია გაიარა 286 ბენეფიციარმა; ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტებისათვის სპირომეტრიული გამოკვლევა ჩატარდა 250 ბენეფიციარს; იმუნოგლობულინის E განსაზღვრა სისხლში ჩატარდა 122 ბენეფიციარს; მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის ექიმ-ენდოკრინოლოგის კონსულტაცია გაიარა 1000 ბენეფიციარმა, ხოლო გლიკოზირებული ჰემოგლობინის გამოკვლევა ჩატარდა 980 ბენეფიციარს.

➤ მიღწეული შედეგები:

ჩატარებულია დიაგნოსტიკური კვლევები და კონსულტაციები მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტითა და ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთათვის.

ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 149,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 144,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე 4960 ბავშვისათვის რეაბილიტაციის კურსი; 3-დან 12 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე 110 ბავშვის რეაბილიტაცია (ყოველთვიურად); ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა, ასევე შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებისათვის ჩატარებულია ტრენინგ-სემინარები.

➤ მიღწეული შედეგები:

აუდიოლოგიური სკრინინგი ჩატარებულია. გახორციელდა 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე და 3-12 წლამდე ბავშვთა რეაბილიტაცია. შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებისათვის ჩატარებულია ტრენინგ-სემინარები.

სანიტარული დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01 10)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 542,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 542,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,9%

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარდა პროფილაქტიკური სადებიზინსექციო სამუშაოები, რომელიც დაკავშირებულია მავნე მწერებისა და მღრღნელების მაქსიმალურ შემცირებასთან, მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. კერძოდ, წლის განმავლობაში განხორციელებულია სადერატიზაციო და სადებიზინსექციო სამუშაოები 11871 ობიექტზე (ნაგავგამტარები, მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლები და სადარბაზოები, ნაგავშემკრები კონტეინერები, ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, იტალიური ეზოები და სარდაფები და ასევე ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია), მაწანწალა ცხოველების მოვლის ღონისძიებები - 5000 ერთეული.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია დერატიზაცია-დებიზინსექციისა და მაწანწალა ცხოველების მოვლის ღონისძიებები.

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი (პროგრამული კოდი 06 01 11)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 84,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 84,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და ასევე, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარულ მონიტორინგს, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ: ჩამონაბანის აღება - 8800 ერთეული, კალორაჟის განსაზღვრა - 312 ერთეული, განათების კოეფიციენტის განსაზღვრა - 245 ერთეული, აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევა - 16 ერთეული, სილამაზის სალონებისა და სტომატოლოგიური კაბინეტების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე - 300 ერთეული, სადებიზინსექციო საშუალებების ქიმიური კვლევა - 70 ერთეული, მუსიკალური ხმაურის განსაზღვრა - 60 ერთეული, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პროდუქტების ლაბორატორიული მონიტორინგი - 240 ერთეული, კვების პროდუქტების მონიტორინგი (სასადილოებში) - 96 ერთეული.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის ღონისძიებები.



ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 12)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 150,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 141,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

მატერიალური დახმარება გაეწია ყოველთვიურად ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის 124 (ბენეფიციარი) პაციენტს; ასევე ლეიკემიით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის 22 (ბენეფიციარი) პირს.

➤ მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 13)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 70,0 ათასი ლარი; საანგარიშო პერიოდში დაფინანსება არ განხორციელებულა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსების მიზნით უნდა წარმოედგინა ოპერაციული მკურნალობის აუცილებლობა, რომელიც დასტურდებოდა შესაბამისი დაწესებულებიდან წარმოდგენილი ფორმა #100-4ა-თი, ასევე ტრანსპლანტაციისათვის უნდა მოემდია დონორი. დონორისა და რეციპიენტის შეუთავსებლობის გამო აღნიშნული პროგრამით სარგებლობა არ განხორციელებულა.

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 14)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 875,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 798,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის (2164 პირი), ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული და ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის თანადაფინანსება (946 პირი);

➤ მიღწეული შედეგები:

ბენეფიციარებს მიეწოდათ მედიკამენტები და განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება.



**ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება
(პროგრამული კოდი 06 01 15)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 055,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 025,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევის - პირველადი პრეჰოსპიტალური სასწრაფო-სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით. კაპიტალის ზრდა - ავტომობილების შეძენის მიზნით.

➤ მიღწეული შედეგები:

ქალაქში უზრუნველყოფილია დამატებითი სასწრაფო დახმარების ბრიგადები და გაზრდილია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება.

სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 656,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 612,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სუბსიდირება სხვადასხვა სოციალური კატეგორიებზე, კერძოდ: წყლისა და კანალიზაციის და დასუფთავებისათვის მოსაკრებლის საფასურის დაფარვა განხორციელდა 13 729 ბენეფიციარზე (მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი, ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალ დაკარგულები და 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები); სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა განხორციელდა 851 ბენეფიციარზე (მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი, ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები); გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე დაუფინანსდა 244 ბენეფიციარს (მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი, ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალ დაკარგულები და 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები); თხევადი აირის ტალონით დახმარება ყოველთვიურად 5კგ ოდენობით გაეწია 122 ვეტერანს, რომელთაც არ უსარგებლიათ



საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების საკომპენსაციო თანხით და არა აქვთ შეყვანილი ბუნებრივი აირი საცხოვრებელ ფართში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 096,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 029,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ: სადღესასწაულო დღეებში (15 თებერვალი, 9 მაისი, 27 სექტემბერი და ახალ წელთან დაკავშირებით) მატერიალური დახმარების გაწევა განხორციელდა 131 ვეტერანზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები); ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარების გაწევა განხორციელდა 501 ბენეფიციარზე (0-100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების პირველი ახალშობილის შეძენა - 400 ლარი; 0-100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მე-2 ახალშობილის შეძენა - 500 ლარი; მე-3 ახალშობილის შეძენა - 600 ლარი; მე-4 ახალშობილის შეძენა - 800 ლარი და მე-5 და მომდევნო ახალშობილის შეძენა - 1000 ლარი); მატერიალური დახმარება გაეწია 525 ბენეფიციარს (უდედმამო ბავშვების მეურვეები, მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) მრავალშვილიანი ოჯახები), მატერიალური დახმარების გაცემა განხორციელდა წელიწადში ორჯერ - დედის დღესთან დაკავშირებით (უდედმამო ბავშვებზე - ბავშვთა დღესთან დაკავშირებით) და სასწავლო პერიოდის (სკოლის) დაწყებისას; 81 ოჯახზე (ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველთა გარდაცვალების შემთხვევაში) ერთჯერად გაიცა მატერიალური დახმარება; სოციალურად დაუცველ 79 ოჯახს (ერთ წლამდე ასაკის ყოველ ახალშობილზე) ყოველთვიურად გაეწია მატერიალური დახმარება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია მატერიალური დახმარების ღონისძიებები.

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 625,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 523,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



განხორციელდა 1.947.529 შეღავათიანი (50 %, ერთი მგზავრობა 15 თეთრი) მგზავრობა, განხორციელდა 4.104.224 უფასო (100 %, ერთი მგზავრობა 30 თეთრი) მგზავრობა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება.

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 900,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 875,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამით ისარგებლა ქ. ბათუმში რეგისტრირებულმა მარტოხელა და სოციალურად დაუცველ ოჯახთა მზრუნველობას მოკლებულ მოხუცებმა. მოხუცებულთა თავშესაფრის სერვისით ისარგებლა ყოველთვიურად 122 ბენეფიციარმა, საცხოვრებელ მისამართზე მომსახურეობა გაეწია 90 ბენეფიციარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები.

მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 63,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 63.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის 2 მრავალშვილიან (შვიდი შვილი) ოჯახს (ქ. ბათუმის შ. ხიმშიაშვილის ქ. №1-ში არსებული 126 კვმ ფართის №11 საცხოვრებელი ბინა საკუთრების უფლებით და სარემონტო სამუშაოებისათვის (31500 ლარი) გადაეცათ ირინა სალკოვას, თეონა სალკოვას, ჯანეტა სალკოვას, ანეტა სალკოვას, ლიკა სალკოვას, საბა სალკოვას, დაშა სალკოვას, ანამარია სალკოვას, რუსუდან სალკოვას, ხოლო ქ. ბათუმში, შ.ხიმშიაშვილის ქ. №1-ში არსებული 126 კვმ ფართის №31 საცხოვრებელი ბინა საკუთრების უფლებითა და სარემონტო-სამუშაოებისათვის (31500 ლარი) გადაეცათ შაქრო ქადიძეს, ნინა ივანიაძეს, მარიამი ქადიძეს, ჯონი ქადიძეს, მანანა ქადიძეს, ანა ქადიძეს, რეზო ქადიძეს, ალექსანდრე ქადიძეს, ია ივანიაძეს) გადაეცა თანხა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მრავალშვილიანი ოჯახების გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;



მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2 828,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 739,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის ტერიტორიაზე 6 ერთეულ მუნიციპალურ სასადილოში 0-57000 ქულის მქონე 4021 ბენეფიციარს ყოველდღიურად მიეწოდებოდა ცხელი საკვები.

➤ მიღწეული შედეგები:

საჭიროების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია უფასო კვების მომსახურება

დროებითი ღამის თავშესაფარი (პროგრამული კოდი 06 02 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 182,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 161,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 88,6%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში 45 ბენეფიციარისათვის ღამის გათევა, ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა ტანსაცმლით უზრუნველყოფა. საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა.

➤ მიღწეული შედეგები:

დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 7,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 7,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 3 საზოგადოებრივ (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალურ ცენტრი, ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილი“ და ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია) ორგანიზაციაზე ფინანსური დახმარება.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ხანდაზმულთა სოციალური ცენტრისა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ფინანსური მხარდაჭერა.

ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 698,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 685,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნულ პროგრამაში კლასიფიცირდებოდა სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებზე გამოყოფილი ერთჯერადი მატერიალური დახმარებები.

სარეზერვო ფონდი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 770 000 ლარს შეადგენდა, რაც 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0,5%-ია. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა მოსახლეობის სოციალური დაცვის იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლიც არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებულ ასიგნებებში.

2016 წლის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 748 978 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის აღსრულების ფონდი 30 000 ლარს შეადგენდა, ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 5 696 ლარი შეადგინა, რაც წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების დაფარვაზე და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 02 ოქტომბრის საქმე #2-1331/14წ. გადაწყვეტილების, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის საქმე #2/ბ-1177-14 გადაწყვეტილების, ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 08 იანვრის #2-1240/15 სააღსრულებო ფურცლის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების (№3/ბ-16-15 ადმინისტრაციული საქმე) აღსრულებაზე მიიმართა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელეების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები
(ჯამური ინფორმაცია)

(ლარებში)

№	ბრძანება		დასახელება	ორგანიზაციული კლასიფიკაციის მუხლი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
	თარიღი	№					
1	2	3	4	5	6	7	8
სარეზერვო ფონდის მოცულობა						770 000	
1	29.01.2016	66	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქ. ბათუმში, ჟღენტის ქ. #2-ში მცხოვრები, აწარმოებული მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე სოციალურად დაუცველი (ოჯახის სარეზერვო ქულა - 1000) აზა დოლოძის ოჯახის წევრის მარეზ გორგოლაძისათვის (პ/ნ 01008009183) მატერიალური დახმარების მიზნით,	2 000	2 000
2	09.02.2016	104	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2016 წელი 29 იანვრის ოქმი №1) მატერიალური დახმარების მიზნით,	29 808	28 778
3	11.02.2016	117	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2016 წელი 04 თებერვლის ოქმი №2) მატერიალური დახმარების მიზნით,	31 936	31 580
4	11.02.2016	119	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2015 წლის 23 ნოემბრის ოქმი №17) მატერიალური დახმარების მიზნით	1 400	1 400
5	19.02.2016	160	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2016 წელი 11 თებერვლის ოქმი №3) მატერიალური დახმარების მიზნით	9 882	9 882
6	19.02.2016	164	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის 2016 წლის 04 თებერვლის სხდომის №2 ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით, მოქალაქე შხია აბულაძისათვის (პ/ნ 61001004303) მატერიალური (სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისათვის) დახმარების გაწევის მიზნით	1 740	1 740
7	26.02.2016	185	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2016 წელი 19 თებერვლის ოქმი №4) მატერიალური დახმარების მიზნით,	23 350	18 350
8	09.03.2016	216	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2016 წელი 26 თებერვლის ოქმი №5) მატერიალური დახმარების მიზნით,	46 049	46 049
9	15.03.2016 17/03/2016 21/06/2016	246 255 552	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2016 წლის 7 მარტის ოქმი №18 (კორექტირებული)) მატერიალური დახმარების მიზნით,	8 300 33 200	8 300 32 100
10	18.03.2016 27/09/2016	261 860	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2016 წელი 10 მარტის ოქმი №6) მატერიალური დახმარების მიზნით,	27 005	27 005
11	21.03.2016	274	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	03 07 02	ქალაქ ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩაზე სკვერის ტერიტორიის ნებაყოფლობით გამოთავისუფლების სანაცვლოდ, თვითნებურად განთავსებული მოქალაქე მზიური ხოზრევანიძის (პ/ნ 61001058376) მიერ დაკავებული ტერიტორიაზე არსებული ბეტონის ღობისა და მასზე მოშენებული ნარგავების დირეზულეების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით,	1 000	1 000
12	31.03.2016	309	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის 2016 წლის 19 თებერვლის სხდომის №4 ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით, მოქალაქე ლიანა ქამაძისათვის (პ/ნ 14001016829) მატერიალური (სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისათვის) დახმარების გაწევის მიზნით,	250	250
13	31.03.2016	311	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2016 წელი 17 მარტის ოქმი №7) მატერიალური დახმარების მიზნით,	30 537	27 838

